რომლებიც ჯგუფის წევრები არ არიან. სლენგისძირითადი ფუნქციაა საშუალება მისცეს მომხმარებლებს სიზუსტით ისაუბრონ მოცემულ სფეროში ტექნიკურ საკითხებზე. რამოდენიმე ლინგვისტი ცდილობდა ნათლად განესაზღვრა რას ნიშნავს სლენგი. თუმცა, სლენგი არის ლინგვისტური ფენომენი, რომელიც მუდმივად იცვლება მსოფლიოს ყველა სუბკულტურაში. ზოგიერთი ვარაუდობს, რომ სლენგი არსებობს იმიტომ, რომ ჩვენ შეგვეძლოს განსხვავებული ენით საუბარი, რაც თანამედროვეობას მოაქვს.

მაიკლ ადამსი აღნიშნავს, რომ „სლენგი არის გამაღიზიანებელი... ხშირად შეუძლებელია მოყოლა, თუნდაც კონტექსტში, რომლის ინტერესებს და მოტივებს ემსახურება... სლენგი არის ზღვარზე“.

მიუხედავად იმისა, რომ ენის მრავალი ფორმა შეიძლება განიხილებოდეს, სლენგი რჩება განსხვავებულად აზროვნებისა და უარგონული თვალსაზრისით, მისი სპეციფიკური სოციალური კონტექსტის გამო. თუ შევადარებთ ფორმალურ წერილობით ფორმას საუბართან, როგორც წესი, მეტყველება განიხილება ფართო სპექტრის კონტექსტში, ხოლო სლენგი ბევრ კონტექსტში შეიძლება მიუღებელი იყოს.

უარგონს ადამიანი ენაში იყენებს, როგორც სფეროს, ან ენა გამოიყენება სფეციფიკური ტერმინებისთვის კონკრეტული ინტერესის მქონე პირებისთვის. მიუხედავად იმისა, უარგონი და სლენგი ორივე შეიძლება გამოყენებულ იქნას არაპროფესიონალი ადამიანებისგან, უარგონის განზრახვაა საუბარი კომუნიკაციის საშუალებით, რაც გულისხმობს ტექნიკურ გაგებას. ხოლო, სლენგი ყურადღებას ამახვილებს სოციალურ და შინაარსობრივ გაგებას.

მართალია, სალაპარაკო ენა და უარგონი, როგორც ჩანს მსგავსია სლენგისა, რადგან მიუთითებს კონკრეტულ ჯგუფზე. ისინი არ შეესაბამება იმავე განმარტებას, რადგან ისინი არ წარმოადგენენ კონკრეტულ ძალისხმევას, რათა შეცვალონ სტანდარტული ენა. სალაპარაკო ენა განიხილება უფრო სტანდარტულ ენად, ვიდრე სლენგი, უარგონი ხშირად იქმნება კონკრეტული ასპექტების სასაუბროდ, რომლებიც არ აღინიშნება სტანდარტულ ლექსიკონში.

ხშირად ძნელია სლენგის და სალაპარაკო ენის ერთმანეთისგან განსხვავება და უფრო მეტი სტანდარტული ენისგან, რადგან სლენგი ზოგადად ხდება მისაღები ლექსიკონში დროთა განმავლობაში. სიტყვები, როგორიცაა "spurious" და "strenuous" ადრე ეს სიტყვები განეკუთვნებოდა სლენგს, თუმცა ისინი ახლა მიღებული ფორმებია სტანდარტულ ენაში, მაღალი რეგისტრის სიტყვებშიც კი განიხილებიან. ლიტერატურა სლენგს განიხილავს როგორც ტერმინს, რომელიც იცვლის სტატუსს, როგორც ნამდვილი სლენგი, რადგან ის მისაღებია მედიისთვის და აღარ არის კონკრეტული ჯგუფისთვის დამახასიათებელი მეტყველება.

მიუხედავად ამისა, კონკრეტული სიტყვა არის თუ არა სლენგი, მისაღებია თუ არა ის აკადემიურ თუ სამართლებრივ გარემოში, სადაც სტანდარტული ენა ითვლება აუცილებელ პირობად და არის თუ არა ის კონკრეტული ტერმინი ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონში.

ხშირად ძნელია ეტიმოლოგიის შეგროვება სლენგის ტერმინებზე, რადგან სლენგი არის მეტყველების ფენომენი, უფრო მეტად, ვიდრე წერილობითი ენა და ეტიმოლოგია, რომლებიც, როგორც წესი, გვხვდება ძირითად საშუალებად.

ერთ ფარდობიგმა, პირველმა განაცხადა სლენგის ფენომენალურობაზე სისტემატური და ლინგვისტური გზით. ის მიიჩნევს, რომ ტერმინი შესაძლოა გამოიყენებულ იქნას რამდენიმე ათწლეულის მანძილზე, სანამ დამწერლობაში დაიმკვიდრებს ადგილს. მიუხედავად ამისა, სლენგი ზოგადად ქმნის სტანდარტულ ფორმას. სლენგის ეს "spawning" წარმოშობა ხდება უფრო იმიტომ, რომ ნებისმიერი ზოგადი სემანტიკური ცვლილება შეიძლებოდა მომხდარიყო. განსხვავება ისაა, რომ სლენგის ტერმინი იძენს ახალ მნიშვნელობას კონკრეტული სოციალური მნიშვნელობიდან, რომელსაც აქვს ჯგუფის ინდექსები.

კოლმენის მიხედვით, სლენგი შეიძლება გამოვყოთ ზოგად სემანტიკურ ცვლილებში, რომელიც გარკვეულ როლს თამაშობს „ჟარგონის განვითარებაში“. ძირითადად, სლენგის განვითარება დამოკიდებულია „სპონტანურ, ცოცხალ და შემოქმედებით“ მეტყველების პროცესთან.

მიუხედავად ამისა, სლენგების გარკვეული რაოდენობა, რომლებიც ხვდებიან სტანდარტულ ლექსიკონში, დროთა განმავლობაში კარგავენ მნიშვნელობას. ამის მაგალითია ტერმინი "Groovy", რომელიც 1960 და 70-იანების გადმონაშთია ამერიკული "hippy" სლენგისა. სიტყვა "Groovy" რჩება სუბ-კულტურის ლექსიკონში მას შემდეგ, რაც ის გახდა პოპულარული ტერმინი.

სიტყვა თუ ფრაზა სლენგი რომ გახდეს, ხალხმა უნდა გამოიყენოს ის გარკვეული დროის მანძლზე, რომ გადაიქცეს სტანდარტულ ენად. სლენგები შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა მუსიკალურ ჯგუფებში. სიტყვა "gig" ფართოდ მიღებული სინონიმია სიტყვისა „კონცერტი“, ან ნებისმიერი ტიპის შესრულებისათვის. ტერმინი "gig", რომელიც თავდაპირველად 1930-იან წლებში ჯაზის მუსიკოსებმა შეიმუშავეს და 1960-იანი წლებში გახდა ჰიპიური ჟარგონი. ის ასოცირდებოდა 1960-იანი წლების სლენგთან "hippy". "Hippy" უფრო ხშირად იწერება "hippie". ზოგადად, სლენგი გადის სემანტიკური ცვლილებების იგივე პროცესებს, რასაც სიტყვები ჩვეულებრივ ლექსიკონში.

სლენგი ჩვეულებრივ ასოცირდება კონკრეტულ ჯგუფთან და იდენტობის დადგენაში დიდ როლს ასრულებს. მიუხედავად იმისა, სლენგი ასახავს სოციალურ სივრცეს, სლენგის მიმართ დამოკიდებულება ნაწილობრივ ჯგუფის იდენტობას განსაზღვრავს და ახდენს ჯგუფის წევრების იდენტიფიცირებას. აქედან გამომდინარე, სლენგის გამოყენება ინდივიდს აკავშირებს კონკრეტულ ჯგუფთან.

სლენგის დამკვიდრებით, შეიძლება აგრეთვე ინდივიდის დაკავშირება ჯგუფის წარმოშობასთან, ცდილობს თუ არა ინდივიდი გახდეს ჯგუფის წევრი.

როგორც ელისა მატიეოლო თავის წიგნში აღნერს შეიძლება სლენგის იდენტიფიკაცია სხვადასხვა დონეზე. "foxy" და "shagadelic" მაგალითების მიხედვით მატიეოლო განმარტავს, რომ არც ერთ ტერმინს არ შეუძლია სტანდარტული ინტერპრეტაცია: "foxy" ზედსართავი სახელია. მისი უ სუფიქსით არ არის სემანტიკური და არაფერი აქვს საერთო "foxy"-თან; "Shagadelic" არის სლენგის კომბინაცია სლენგ სუფიქსთან და ამიტომ ითვლება „დამატებით-გრამატიკულ“ ქმნილებად.

მოზარდების მიერ სპიკერზე ორიენტირებული ტერმინების გამოყენება მათ ასაკობრივ ჯგუფში განეცრიანებას, მათი თანატოლების ჯგუფთან კავშირის გაძლიერებას გულისხმობს.

ხშირად, სლენგი იქმნება იმისთვის, რომ წევრებმა გამოიყენონ ჯგუფში გასაერთიანებლად. მაგალითად, Leet ("Leetspeak" ან "1337") თავდაპირველად პოპულარული იყო მხოლოდ ინტერნეტ საზოგადოებაში, როგორც ონლაინ ვიდეო მოთამაშე. 1990-იან წლებში და 21-ე საუკუნის დასაწყისში ლითი სულ უფრო მეტად პოპულარული გახდა ინტერნეტში და გავრცელდა ინტერნეტზე სალაპარკო ენად. სხვა სახის სლენგი როგორიცაა მობილურ ტელეფონებზე მესიჯები და "chatspeak", (მაგ., "LOL", ნიშნავს „ხმამაღლა სიცილს“ „სიცილით იატაკზე ხოხიალი“), ფართოდ გამოიყენება ინტერნეტში შეტყობინების სახით.

სლენგი ხშირად მოდის სოციალური მედიიდან, როგორც სოციალური ცნობიერების ნიშანი და პოპულარული ხდება საზოგადოებაში. სლენგის ეს დარგი გახდა უფრო გავრცელებული 2000 წლის დასაწყისში სოციალური ქსელების პოპულარობის ზრდის შედეგად, მათ შორის Facebook, Twitter და Instagram. შეიქმნა ახალი ლექსიკა, რომლებიც უკავშირდება ყოველ ახალ სოციალურ მედიას, როგორიცაა Facebook-ზე ტერმინი "friending" გამოყენება, რომელიც გამოიყენება ახალი პიროვნების დასამეგობრებლად. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ანალოგიუ-

რი ტერმინი "befriend". ეს ტერმინი ბევრად უფრო ძველია, ვიდრე facebook-ი, მაგრამ ცოტა ხნის წინ შემოვიდა პოპულარულ ლექსიკონში.

უმეტესი სლენგისგან განსხვავებით, სოციალური მედიის სლენგზე ხშირად არ საუბრობენ ხმამაღლა, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის განხილული, როგორც ოფიციალური სახე. სოციალურ მედიაში ნაპოვნი რამოდენიმე სლენგი შეიცავს ზოგად ტრენდს შემოკლებული სიტყვებისა. ეს განსაკუთრებით არის Twitter-ზე, რომელსაც აქვს 140 ხასიათის შეზღუდვა თითოეული წერილისთვის და მოითხოვს მოკლე, დაბალანსებულ კომუნიკაციას, ეტიკეტის გამოყენებას, რომელიც მკაფიოდ გამოხატავს შეტყობინების ძირითად შინაარსს, როგორიცაა #food ან #photography.

მის ადრეულ გამოყენებაში (1756), სიტყვა სლენგი მოიხსენიებოდა როგორც "low or disreputable". მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, ეს აღარ იყო უშუალოდ დაბალი დონის ადამიანებთან ასოცირებული, ის გამოიყენებოდა განათლებული ადამიანების ლექსიკაშიც. სიტყვის წარმოშობა გაურკვეველია, თუმცა, როგორც ჩანს, ქურდებს უკავშირდება. შემოთავაზებულია სკანდინავიური წარმოშობაც (მაგალითად, ნორვეგიის slengenavn სლოგენავნი, რაც ნიშნავს „მეტსახელს“). ჯონათან გრინი ეთანხმება სკანდინავიური წარმოშობის ორიგინალობას, ვარაუდობს რომ ერთი ფუძე აქვთ, რაც ნიშნავს "to throw" და აღნიშნავს, რომ სლენგი არის გადაგდებული ენა – სწრაფი გზა თქვენი აზრის გადმოსაცემად.

ლიტერატურა:

1. Coleman Julie. Life of slang (1. publ. ed.). Oxford: Oxford University Press.
2. Dickson Paul. Slang: The Topical Dictionary of Americanisms, 2010.
3. Dumas Bethany K.; Lighter, Jonathan. "Is Slang a Word for Linguists?". American Speech. 53 (5): 14-15, 1978.
4. Mattiello Elisa. An introduction to English slang: a description of its morphology, semantics and sociology. Milano: Polimetrica, 2008.
5. Mitchell Anthony. "A Leet Primer". Retrieved 2007-11-05, 2005.
6. Moss Caroline. "Our Updated Guide To Twitter Slang, Lingo, Abbreviations And Acronyms". <http://www.businessinsider.com/>. Retrieved 2 December 2014. External link in |website= (help)
7. Partridge Eric. A dictionary of slang and unconventional English (Slang itself being slang for Short Language): colloquialisms and catch phrases, fossilized jokes and puns, general nicknames, vulgarisms and such Americanisms as have been naturalized (8th ed.). London: Routledge, 2002.
8. "Slang". Oxford English Dictionary. Oxford University Press. Retrieved 4 March, 2010.
9. "A Brief History of slang". Films on Demand. Films Media Group. Retrieved 23 January, 2015.
10. "Slang". Online Etymological Dictionary. Retrieved 4 March.

RUSUDAN GOGOKHIA

BRITISH AND AMERICAN SLANG WORDS AND THEIR MEANINGS

SUMMARY

Slang is a type of jargon that originates from various small groups of people. They tend to come about from conversation, and people naturally use words that have a meaning for them, then over time, these words alter and become slang. It is probably one of the hardest aspects of the English language to learn, because there are so many variations in each small town, let alone in different English-speaking countries! People use slang to sound less formal. Slang is mainly used because it relaxes the mouth, and allows people to speak in a more comfortable way. It is a lot easier to use slang than ‘perfect English’, which is probably why it’s so common! Slang is usually associated with a particular group and plays a role in constructing our identities. While slang outlines social space, attitudes about slang partly construct group identity and identify individuals as members of groups. Therefore, using the slang of a particular group will associate an individual with that group.



თანა ჩივვილაპი

ილია ჭავჭავაძის პოემა „აჩრდილი“ და თანამედროვეობა

პოემა „აჩრდილი“ იღია ჭავჭავაძის საპროგრამო თხზულებაა. პოემის პირველი ვარიანტი დაწერილია 1859 წელს, ხოლო ბოლო რედაქცია კი 1872 წელს.

იღია პოემაში მსჯელობს საქართველოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. თხზულების მაგისტრალურ მოტივს წარმოადგენს ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ.

ნაწარმოების სათაურს ეპიგრაფად გასდევს რუსთაველის უკვდავი აფორიზმი:

„რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს დაამჭნაროსა,

იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბალნაროსა.“

ეპიგრაფში ჩადებულია ავტორის მსოფლედველობრივი კრედო ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება-განახლების შესახებ, რომ ქვეყნიერებაზე ყველაფერი ცვალებადობის მკაფრ კანონს ექვემდებარება.

პოემაში დასმული საკითხებისადმი პრინციპული დამოკიდებულება და საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატვა იღია ჭავჭავაძეს კიდევ უფრო ამაღლებს მკითხველის თვალში. შესაბამისად, თხზულებაც ყოველთვის დიდი ინტერესით იკითხება ქართველი მკითხველის მიერ.

ცნობილია, რომ იღიას სდომებია ერთიანი, დიდი თხზულების შექმნა, რომლითაც ხმას აღიმაღლებდა სოციალური ბოროტების წინააღმდეგ, მაგრამ იმდენად ბევრი აღმოჩნდა მასალა, რომ მწერალმა ვერ ჩაატია ყველაფერი ერთ თხზულებაში და ცალკეულ სიუჟეტებად დაანაწილა იგი. პოემა „კაკო ყაჩალი“, მოთხოვები: „გლახის ნაამბობი“ და „კაცია – ადამიანი?!“ – სამივე თხზულება ერთი შემოქმედებითი რეალიდანაა, ერთი ციკლია, რომლის სათავეში დგას პოემა „აჩრდილი“.

იღიას სამწერლო მოღვაწეობა, როგორც ცნობილია, ერწყმის მისსავე ცხოვრებას და ბრძოლას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე. ყველა მხატვარს ერთი რამ აქვს გამოსახატავი თუ სათქმელი – ესაა მისი დამოკიდებულება სინამდვილისადმი და იღიას, როგორც რეალისტი მწერლის ყოველ ნაწარმოებს წითელ ზოლად გასდევს მოვლენათა ობიექტური ასახვა.

„აჩრდილის“ პირველი თავი ეძღვნება დილის მზის სხივებში გახვეულ მყინვარი. მყინვარი მრისხანება და თითქოს ელის განკითხვის დღეს:

„აღმობრწყინდა მზე დიდებულადა

და გაანათლა ქვეყანა ბნელი,

კავკასის მთების წვერთა მაღალთა

ზედ გადაჰვინა ოქროს ნათელი.

აღმოჩნდა მთების ზემოთ მყინვარი

ცისა და ქვეყნის შუა დაკიდულ,

იგივ ზვიად, იგივ მძვინვარი,

იგივ დიდებულ და დადუმებულ“.

ავტორი სინანულით უყურებს დიდებული დილის სილამაზეს და მიძინებული ქვეყნის სიმშვიდეს მოჩვენებითს უწოდებს:

სულ ტყუილია, რასაც ეხლა ჰგრძნობ...
ქვეყნის დრტვინვაა დაუძინარი,-
ლრმად ჩააკვირდი მის დუმილს და სცნობ,-
თვით მაგ დუმილში რა წყევლაც არი!“

აღსანიშნავია, რომ პოეტ-რომანტიკოსებს ბუნების სურათები საზოგადოებრივ ცხოვრებასთან უნისონში მოჰყავდათ, რასაც რეალისტებთან ვერ ვხედავთ. ილიასთან, რომანტიკოსებისაგან განსხვავებით, ბუნების პეიზაჟები აშკარად დაპირისპირებულია ადამიანურ ყოფასთან. მწერალი ამ ხერხს იყენებს, რათა მეტად გამოკვეთოს პოემაში სოციალური პრობლემები და ამ მხრივ, ნაწარმოები კიდევ უფრო ექსპრესიული გახადოს მკითხველთათვის.

მდინარე არაგვის სიდიადე დაკავშირებულია ნარსულთან. ისტორიული ნარსულის კონტექსტშია მოცემული მდინარის ბუნებრივი სილამაზე, მისი განუმეორებელი, აზვირთებული ნაპირები გაიგივებულია ქართლის ცხოვრების განვითარების მნიშვნელოვან ეტაპებთან, ბრძოლებში დალვრილ ქართველთა სისხლთან:

„ჩვენო არაგვო! რარიგ მიყვარხარ!
ქართლის ცხოვრების მონამედ შენ ხარ...
შენს კიდეებზედ ჩემი მამული
იყო ერთ დროსა გამშვენებული!
შენს ზვირთებ შორის ჩემი ქვეყნისა
გრძელი მოთხობა დამარხულია
და წმინდა სისხლი ქართველებისა
შენს კიდეებზედ გადასხმულია.“

პოემაში ილია მსჯელობს ცოდნის, ანუ თეორიული განათლების დიდ მნიშვნელობაზე, რაც ქართველებში დეფიციტს ნარმოადგენს და, რომელიც დამლუპველია ქვეყნისთვის.

მომდევნო თავები ეთმობა ეროვნული გმირის ძიებას. მსგავსი გმირი დიდი ხანია ქართველებს აღარ ჰყავთ, არადა სუბიექტური ფაქტორის, პიროვნების, გარეშე ცხოვრების გარდაქმნა ყოვლად შეუძლებელია. გმირს ზრდის, უპირველეს ყოვლისა, სიყვარული ერისა და ქვეყნისადმი, ნარსულის ხსოვნა, რაც ილიას თანამედროვე ქართველებს აღარ გააჩნიათ. უცხოტომელთა მონობის ქვეშ გადაგვარებულებს ქვეყანა მიგდებული აქვთ, ვით ობოლი მარგალიტი, თავად კი უზნების ჭაობში იხრჩობიან: შურთ ერთმანეთის, მტრობენ ურთიერთს და იმ თითო-ოროლა ადამიანის წინააღმდეგ იბრძვიან, რომელთაც ქვეყნის სიკეთისათვის გული უძგერთ, ანგრევენ, სპობენ იმას, რის აღდგენაც თავად სურთ.

ქართველების ეს ჩრდილოვანი მხარე კარგად გამოიკვეთა მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, ქვეყანაში ეროვნული მოძრაობისა და სამოქალაქო ომის დროს. თავად ილია კი, 1832 წლის შეთქმულების ჩავარდნას გულისხმობდა, როდესაც ამ სიტყვებს წერდა:

„აგერ ორ-სამ კაცს რაღაც უგრძვნიათ,
ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან,
ერთის საქმისთვის გაუღვიძნიათ
და ერთმანეთს კი არ ენდობიან.
ერთმანეთისა მათ სიკეთე ჰშურთ,
თუმც ერთისათვის თითქო იღწვიან;
თვით ამხობენ მას, რის აღდგენაც ჰსურთ,
თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიან“.

თხზულებაში საუბარია ბატონიშვილის აუგზე. ქართველი თავადი, როგორც სოციალურად დომინანტური კლასი, ფეხქვეშ თელავს გლეხის პიროვნულ ღირსებას და როგორც პირუტყვას,

ისე ეპყრობა მას. შრომის ულელში გაბმული გლეხი დღედაღამ, უსიტყვოდ ემორჩილება ბატონს, ეს უკანასკნელი კი სულიან-ხორციანად ძარცვავს გლეხს.

ქართველი მებატონე ილიას ორმაგად უარყოფითად ჰყავს გამოყვანილი. ამის მიზეზი, პოეტის აზრით, ის არის, რომ ისინი სხვა ქვეყნის ბატონთა მონები არიან. მატერიალურ ძარცვაზე ასმაგად უარესია მორალური შეურაცხყოფა გლეხისა, როდესაც მას ერთადერთ ასულს წაართმევენ, გაჰყიდიან და ნამუსახდილს გარყვნილების ჭაობში ჩაახრჩობენ. აქ ფაქტობრივად სახეზეა იდეა მოთხოვის „გლახის ნამბობი“.

ილია ჭავჭავაძისთვის ჩვეულია სოციალური საკითხის მწვავედ დაყენება, მაგრამ ავტორი მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. იგი მუდმივად ცდილობს გამონახოს შექმნილი სიტუაციოდან თავის დაღწევის, ზოგადად სოციალურ უსამართლობასთან გამკლავების გზები. ეს გზაა ბრძოლა შრომის გათავისუფლებისათვის. ილიას აზრით, სწორედ ესაა მე-20 საუკუნის პროგრესული საზოგადოების ძირითადი მისია.

პოეტი ოპტიმისტურად უყურებს ბრძოლას ამ ასპექტით და სჯერა, რომ კაცობრიობის განვითარების შემფერხებელი ბორკილი მალე დაიმსხვრევა, ქვეყნიერებაზე დაისადგურებს „ძმობა, ერთობა და თავისუფლება“:

„შრომისა ახსნა-ეგ არის ტვირთი
ძლევამოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის.

ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლვას,
ვეღარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას-
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალ ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აყვავდების.“

ილია, ამავდროულად ქვეყნისათვის მომაკვდინებლად მიიჩნევს ქართველების ინერტულობას, უძრაობა-უუნარობას. თვით სასულიერო პირებიც კი, რომელნიც ღვთის მცნებას უნდა ემსახურებოდნენ და სამართლიანობის მღალადებლად უნდა გვევლინებოდნენ, დუმან, მათ დავიწყნიათ მაღალი მცნება ჯვარცმული ღმერთისა.

არანაკლებ უკლავს გულს ილია ჭავჭავაძეს საქართველოს დედაქალაქი -თბილისი. ერთი შეხედვით, თბილისი თითქოს ცხოვრობს, ხალხი მოძრაობს, ფაციფუცობს, ყოველდღიური ჭირ-ვარამითაა აღსავსე მათი ყოფა, მაგრამ თუ დაუკვირდებით მიხვდებით, რომ ყოველივე ზემოთქმული ფუჭია და მოჩვენებით:

„ფუჭია იგი მისი ცხოვრება,
უფერულია და ცარიელი,
არც სიცოცხლეა, არც გემოვნება,
არცა საგანი გულწარმტაცველი!“

პოეტი გადადის ძველი დედაქალაქის – მცხეთის აღნერაზე. ქალაქი თავის დროზე გმირთა სავანე იყო, სადაც ყვაოდა ცხოვრების ხე – თავისუფლების ნერგი. დღეს კი ყველაფერი ჩამკვდარა და დადუმებულა. ქართული ცივილიზაციის აკვანი დაცემულია, წმინდა ადგილები პირუტყვთა ქელვით არის შეგინებული:

„და იგი დედაქალაქი ვრცელი
ან სამიკიტნო დაბად გამხდარა.

ნგრეულან მისნი დიდნი პალატნი,
დიდი ცხოვრება მის დაცემულა,
დღეს იმ ცხოვრების წმინდა ალაგნი
პირუტყვთა ქელვით შეგინებულა.“

ამ ფონზე პოეტი იგონებს ქართველთა ორიათასწლოვან ისტორიას, ისტორიას სავსეს ომებითა და წინააღმდეგობებით. აღმფოთებით ლაპარაკობს უცხოტომელ დამპყრობელზე – ალექსანდრე მაკედონელზე, რომელიც ავტორს რუსეთის იმპერიის ალეგორიულ სახედ ჰყავს წარმოდგენილი.

უცხო დამპყრობელი ყველანაირად ავიწროებდა ქართველებს, სძულდა ერი, ენა, მისი სიკეთე და ნიჭიერება. ყველაფერს, რაშიც კი ერის ლირსება იყო განსახიერებული, სპობდა და ანადგურებდა. ილია დასძენს, რომ სიძულვილით ქვეყნის მართვა წარმოუდგენელია და სასიკვდილოდ არის განწირული. პოეტი ხალხს მოუწოდებს შურისძიებისკენ. მისი აზრით, აუცილებელია მტერს აზლვევინო. ამისათვის კი საჭიროა გძულდეს მტერი. მტრის სიძულვილი მხოლოდ სამშობლოს სიყვარულით არის განპირობებული:

„მოვიდა ის დღეც შურისგებისა,
მტარვალს აღუდგა ქართვლის ქველობა
მართალი არის ხმალი ზღვისა ,
როს ხელს ჰყიდებს მას მამულის ტრფობა.“

ასე მოიქცა ფარნავაზ ჰაეროვანი, რომელმაც ვერ გაუძლო მტარვალების მხრიდან ქვეყნის შეურაცხყოფა-დამცირებას. მან, თავისი ქვეყნის ამაყმა შვილმა, ძირს დასცა, პირქვე დაამხო უცხო დამპყრობელი და კვლავ შეაერთა ერთი ცხოვრებით მტრისგან რღვეული ქართლი.

ილია ხშირად მოუხმობს ისტორიულ გმირებს, რათა ისინი თანამედროვეობას დაუკავშიროს და კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახადოს ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. აქ აშკარად ჩანს ილიაზე გრიგოლ ორბელიანის ლიტერატურული გავლენა.

პოეტის მსოფლმხედველობრივი კრედო, მისი იდეოლოგიური თვალსაზრისის ზოგიერთი პრინციპული მხარე იკვეთება თხზულების 24-ე თავში. მწერალი ამბობს, რომ დღეს არა მარტო საქართველოა მიძინებული, არამედ მთელი კავკასია, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ინერტულ მდგომარეობაში იმყოფება. ამიტომაც საჭიროა, მძლავრი კავკასიის ხალხებმა გამოილვიძონ და, ამჟამად გაყრილნი, გაერთიანდნენ, ერთი აზრით ამოქმედდნენ და გაილაშქრონ საერთო ბოროტების წინააღმდეგ. ილიას აზრით, მხოლოდ და მხოლოდ გაერთიანებული ძალით, ცხოვრებისადმი აქტიური დამოკიდებულებით შეიძლება მიზნის მიღწევა:

„როდისღა ვნახავ მშვენიერსა ამ ქვეყანასა
თვისთა დიდების ნაშთსა ზედა კვლავცა აღმდგარსა,
დროსთან დანთქმულსა სხვა-და- სხვათა კავშირთა ბრძოლას
ერთის ცხოვრების, ერთის სულის ძლიერსა ქროლას?
როს ესე ტოტნი ერთ ცხოვრების, ერთ-არსებისა,
ეხლა გაყრილნი ერთ მდინარედ შეერთდებიან?
როს იგი ტომნი ცად მიღწეულ მძლავრ კავკასიისა
ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განდიდებიან?“

ილია ჭავჭავაძის ამ იდეას ასაზრდოებდა ევროპაში გაძლიერებული ეროვნული მოძრაობანი და რა გასაკვირია, რომ ევროპელი პატრიოტები გავლენას ახდენდნენ ქართველ მოაზროვნებზე.

დაკვირვებული მკითხველი დაინახავს, თუ რაოდენ თანამედროვედ უღერს დღესაც პოეტის სიტყვები. 21-ე საუკუნეში კვლავაც აქტუალურია კავკასიის ხალხთა ერთ მუშტად გაერთიანებზე.

ბა საერთო მტრის წინააღმდეგ ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული უფლებებისთვის ბრძოლაში.

აქედან აშკარად იკვეთება ილიას შორსმჭვრეტელობა, მისი ეპოქალური ალლო და გონიერება. ფაქტობრივად, პოეტმა საუკუნით ადრე გაისიგრძეგანა ჩვენი სამშობლოს, მთლიანად კავკასიის რეგიონის, მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდგომარეობა და არა მარტო კავკასიის რეგიონის სამომავლო რისკები იწინასწარმეტყველა, არამედ უფრო ფართო მასშტაბის, გლობალური პროცესები ევროპისა და აშშ-ის პოლიტიკურ-ეკონომიკური პერსპექტივებიც, რომლის დადასტურებასაც წარმოადგენს მისი პუბლიცისტური მემკვიდრეობა. იმისათვის, რომ დავაკონკრეტოთ, ჩვენ გაკვრით შევეხებით მწერლის პუბლიცისტურ წერილებსაც.

ილიას ღრმად სწამდა, რომ კოლოსალური სამხედრო მზადება, რასაც ევროპის სახელმწიფოები და, კერძოდ, გერმანია იმ დროს ანარმოებდა კონტინენტზე, ომის გიგანტურ ხანძრად გადაიქცეოდა. ილიას წარმოადგენს უბედურება ევროპას ორჯერ დაატყდა თავს, პირველად 1914 წელს, ხოლო მეორედ 1939 წელს.

უტყუარი ალლოს, რკინისებური ლოგიკისა და სიტუაციის ღრმა ანალიზის საფუძველზე ილია ჭავჭავაძემ „ივერიის“ 1889 წლის 25 თებერვლის მონინავე წერილში პარალელი გაავლო ევროპის სახელმწიფოებსა და აშშ-ს შორის და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შესაძლოა ამერიკამ ეკონომიკურად „მსოფლიო მეთაურობა“ დაიმკვიდროს.

რას ემყარებოდა ილიას ამგვარი პროგნოზი? მას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ჯარისა და თოფ-იარაღის სისტემატური ზრდა ევროპაში იწვევდა მოსახლეობის გაღატაკებას და თავისთავად სახელმწიფოს გაკოტრებასაც.

ილია წერს: მართალია, აშშ დიდად ჩამორჩება ევროპას სამხედრო თვალსაზრისით, მაგრამ ამ ქვეყნის დოვლათმა და ეკონომიკურმა ძლიერებამ მსოფლიოს ყველა ქვეყანას გადააჭარბა, რაც თავისთავად გვაფიქრებინებს მომავალში ამერიკის მიერ გაკოტრებული ევროპის სრულ დამორჩილებასო. საუკუნე-ნახევრის შემდეგ საზოგადოება დადგა აშკარა ფაქტის წინაშე, რის შესახებაც ილია თეორიულად ჯერ კიდევ მსჯელობდა მე-19 საუკუნის ბოლოს, მაგრამ ილიას კარგად აქვს შეგნებული ისიც, რომ ბრძოლას თავისუფლებისა და დემოკრატიული უფლებებისათვის აუცილებლად ესაჭიროება ცოდნა. მისი აზრით, უგუნურ ქართველებს ქვეყანა გაუქმებული ტაძარივით სწორედ ცოდნის დეფიციტის გამოც აქვთ მიგდებული.

იმისათვის, რომ განხორციელდეს გარდაქმნა, ქართველებმა უნდა შეისწავლონ ცხოვრების ზოგადი კანონები და განჭვრიტონ ცხოვრების დენა; გააცნობიერონ, რომ ცხოვრება იცვლება, მოძრაობს, როგორც ყოველივე არსებული ამ სამყაროში; რომ შეფარდებითი უძრაობა ქვეყნისთვის დამდუპველია; რომ დაპირისპირება საზოგადოების შიგნით; ყველგან წინააღმდეგობაა და ეს უკანასკნელი კი განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა:

„ვიდრე ეგ შენი არ გაიკვლევს ზოგადს ცხოვრებას
და მცნების ნათლით ზეაღზიდულ, ამაღლებული,
ჭკვით არ განსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას,
იმ დრომდე იგი, უიმედო, შეწუხებული,
უქმისა დრტვინვით, გულის წვითა მწარე ცრემლს დაღვრის.“

ილიას, როგორც დაკვირვებულ, შორსმჭვრეტელ ადამიანს და ფხიზელ პოლიტიკურ მოღვაწეს, კარგად ესმის ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომენტის მნიშვნელობა.

როცა ოსმალეთს წაერთვა მიწა-წყალი და შემოუერთდა საქართველოს, ილიამ თქვა, რომ შეიძლება ერი გაყოს შემთხვევამ, მაგრამ, როგორც კი მომენტი დადგება მათი შეერთებისათვის, ორივე წანილი ჭექით შეუერთდება ერთმანეთსო. ილიას გამონათქვამი წინასწარმეტყველებაა ამჟამად ოკუპირებული და დაქუცმაცებული საქართველოს ტერიტორიული გამთლია-

ნების უტყუარი შესაძლებლობის შესახებ. სწორედ აქ ვლინდება მწერლის გენიალურობა, მისი სტრატეგიულად შორსმჭვრეტელური მოსაზრებები.

მეორე მხრივ, ეროვნული ბრძოლა მოითხოვდა შინაგან სოლიდარობას და ილიაც ჩვეული პირდაპირობით ამხელს ქართველების კუთხურობას, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილობას: „ქართველი ჩვენი ტომის საერთო სახელი აღარ არის. აღარც შინა და აღარც გარეთ. იმერელი – იმერელია, გურული – გურულია, მეგრელი – მეგრელია, ქართლელი – ქართლელია, და სულ ყველანი კი ერთად ქართველები არ არიან“ (1, 142;).

იღიას სურს, გამომზეურებულ და შესწავლილ იქნას ერის ისტორია, ეკონომიკა, ქართველთა პოლიტიკური მოღვაწეობის კულტურული გეზი სხვა ერების მიმართ.

„აჩრდილში“ იკვეთება მწერლის მსოფლმხედველობრივი პოზიცია, რომელიც საბოლოო ჯამში დადის კლასთა თანამშრომლობის იდეამდე. იღიას მხატვრულ მემკვიდრეობასთან შესაბამისობაშია მწერლის ბოლოდროინდელი პუბლიცისტური წერილებიც. წერილში ქართულ ლიტერატურაზე უარყოფილია თაობათა შორის ბრძოლა და ყურადღება ექცევა, თუ რამდენად მკვეთრად გამოიხატება მწერლის შემოქმედებაში „მამული“ და გლეხკაცის საქმე.

ამრიგად, პოემა „აჩრდილს“ თამამად შეიძლება ვუწოდოთ თანამედროვეობისათვის აქტუალური ნაწარმოები. თხზულების პრობლემატიკიდან გამომდინარე, ნაწარმოები მარად უკვდავი, ზედროული ძეგლის სახელს იმკვიდრებს როგორც ქართველ მკითხველებში, ასევე მხატვრული ლიტერატურით დაინტერესებულ ადამიანებში.

ლიტერატურა:

1. იღია ჭავჭავაძე, რჩეული, წიგნი I, თბ., 1974.
2. გ. ჯიბლაძე, იღია ჭავჭავაძე, წან. II, თბ., 1984.
3. მ. ზანდუკელი, თხზულებანი ტ. II, თბ., 1976.
4. გრ. კიკნაძე, ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, თბ., 1978.

NANA CHIKVILADZE

ILIA CHAVCHAVADZE'S POEM "GHOST" AND MODERNITY

SUMMARY

The paper focuses on national and social issues of the work. It notes that the poem is Ilia Chavchavadze's program one. The writer depicts historical heroes in order to strengthen patriotic feelings in Georgians and make the struggle for the independence more impressive.

The paper is interesting as in the poem the attention is paid to Ilia's predictive ideas, future risks of the Caucasus and the publication of the broader global processes in Europe and the United States.



თამარ დეკანოსიძე

ვაჟა-ფშაველა და გურია

„მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდეგ,
თვალთ წინ მეფინა ქვეყანა,
გულზე მესვენა მზემთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა“.

„ბუნება ლვთაებრივი ჰარმონიის გამოვლინებაა, ადამიანი კი – ამ ჰარმონიის ნაწილი და როგორც არ უნდა იყოს მისი საამწუთიერო ინტერესები, იგი საბოლოოდ განწირული იქნება, თუ ბუნების გრძნეულ ენას არ მიუგდებს ყურს, მის უხილავ სულიერებას არ ირწმუნებს და მის ტკივილს არ გაიზიარებს, ბუნება ოდესმე სამაგიეროს გადაუხდის თავის ყოვლის შემძლეობით გაამპარტავნებულ ადამიანს და მარტოდმარტო დატოვებს ცხოვრების დამშრალი მდინარის უსიცოცხლო, უხმო და უშრეტელ ნაპირზე“.

ვისაც ქართული პოეზია უყვარს, მისთვის ვაჟა-ფშაველას სახელი განსაკუთრებით ძვირ-ფასია. ძნელია, ერთი თვალის გადავლებით შეაფასო ის მდიდარი შემოქმედებითი საგანძური, რომელიც ვაჟას გენიამ დაგვიტოვა. მთის მგოსანმა ახალი სუნთქვა შემოიტანა ჩვენს მწერლობაში. ბუნების წიაღში დაბადებული და აღზრდილი პოეტი უმღერის მშობლიურ ქვეყანას და მის წიაღში ეძებს შვებას.

ვაჟა-ფშაველა ბუნების მგოსანია. „გარეშე ბუნებისა და ადამიანთა ცხოვრებისა არ არის პოეზია, ჩვენ ბუნებაში ვართ, იგი ჩვენშია. ცოცხალნიც მისნი ვართ და მკვდარნიც“, – წერდა პოეტი. ვაჟა სამყაროს უყურებს, როგორც ერთ მთლიანობას. თავისი მრავალფეროვნებით, მუდმივი ბუნებრივი კავშირით, წინააღმდეგობითა და ჭიდილით. ამ მთლიანობის განცდა მას უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს. „ამაზე ტურფა და კარგი მე სხვა აღარა მგონია!“ – აღტაცებით აცხადებს პოეტი. ასეთ განცდაში პოულობს იგი სულიერ სიმშვიდეს, სიხარულს, ტკივილებისა-გან გაყუჩებას.

ლექსში “ღამე მთაში” შთამბეჭდავად გვიხატავს ვაჟა ღამის სურათებს, „დაღამდა... წვრილ-ნი ვარსკვლავნი აყვავდნენ, დასხდნენ ცაზედა“.

მთის მგოსანს იზიდავს: სიცოცხლე, მოძრაობა, აქტიურობა და ჰარმონიული მთლიანობა. პოეტის გაგებით, ბუნებაში მარადიული კანონზომიერება არსებობს მოქმედ ძალათა შორის, ისინი ურთიერთობით ქმნიან მარადიულ სილამაზეს, სიცოცხლეს. ბუნების განუყოფელი ნაწილია ადამიანი, რომელიც ამ მთლიანობის აღქმაში პოულობს თავის დასაბამს, დანიშნულებას, ადგილს და ლირებულებას. მისი არსებობა განპირობებულია სწორედ ამ მოვლენებისა და საგნების მთლიანობით, მისი განვითარების კანონზომიერებით. „და მე ხომ ყველას მონა ვარ, პირზე ოფლს-გადამდინარედ“, – აცხადებს პოეტი.

ფინაღში კი გადმოგვცემს სიკეთისა და ბოროტების, დადებითისა და უარყოფითის შენაცვლებას. იგი ასე აზუსტებს თავის ფილოსოფიურ შეხედულებას:

„ბუნება მბრძანებელია,
იგი მონაა თავისა,
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მქმნილია ავისა“.

მთის მგოსანი იზიარებს შეხედულებას სიცოცხლის ერთიანი სულის შესახებ, რომელიც გაპნეულია მთელ სამყაროში. მის ყურადღებას იპყრობს არა მარტო ბუნების სილამაზე მისი მომაჯადოებელი იერი, არამედ მისი სული, შინაარსი, პოეტი ბუნების ყოველ გამოვლენაში სიცოცხლეს ხედავს. ბუნება ადამიანის სიცოცხლის წყრაოა, მის გარეშე არ არსებობს სიკეთე და ბედნიერება. არაგვის ხეობას არაერთი პოეტის გული აუძგერებია თავისი სიმშვენიერით, ვაჟა-ფშაველა არაგვის ხეობაში დაიბადა, მდინარის ანკარა ტალღები უმღეროდნენ მას ნანას. „რა ლამაზია, წყეულო, შენთ ზვირთთა ლაღნი ჩქერანი“ – წერდა პოეტი.

წარმტაცია არაგვის ხეობა ზაფხულში, როცა ბუნება იღვიძებს და ნაირფერად ივსება. პოეტი აქვე იძლევა განრისხებული ბუნების შეუდარებელ სურათს, რომელიც ცოცხლად წარმოადგენს ხეობის მძვინვარებას ავდარში.

ლექსი ყურადღებას იქცევს სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის იდეით. მასში ბუნების წარმტაცი სურათები დახატულია, როგორც ღირსება და სამკაული ქვეყნისა. არაგვის ხეობა პოეტს აღმაფრენას ანიჭებს, დამწუხებულს აღაფროვანებს, ახარებს და სიმღერის ხასიათზე აყენებს. პოეტი ისწრაფვის მაღალი მთებისაკენ, არაგვის სათავეებისაკენ და ნატრობს მის კალთებზე სიკვდილს: „გულიც იქ წევს, თვალიცა, იქ რო მაღალი მთებია“.

ლექსი „შეუპოვარი არაგვის სახე“ ქართველი ერის, მშობელი ხალხის გმირობისა და შემართების სიმბოლოა.

ვაჟა-ფშაველა ოპტიმისტია. ლექსში „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“ ბუნების სურათების აღნერის ფონზე ნათელი ფერებითაა გადმოცემული მომავლის რწმენა. ქვეყნის ბუნებასთან შესისხლხორცებული პოეტი მის წიაღში ეძებს შვებას და სჯერა, რომ მაღე დადგება „გაზაფხული“. მომავლის იმედი ურყევად იყო გამჯდარი მის შეგნებაში.

პოეტს გულწრფელად სწამს, რომ სამართლიანობა იზემებს, დამარცხდება ბოროტება, რაც ხელს უშლის დამკვიდრებას. ია და ამწვანებული მთა-ბარი სიხარულით გამთბარი სიცოცხლის, ბედნიერი ცხოვრების დამკვიდრების სიმბოლოა.

ულამაზესი ფერებითაა დახატული ბუნება ვაჟას პოემაში „ალუდა ქეთელაური“, მასში მრავალფეროვანი ბუნება თავისი შინაარსით კეთილი და ბოროტი საწყისების გამოხატულებაა.

„სტუმარ-მასპინძელში“ დახატული სურათები ისევ უკვდავია, როგორც ფონი მოქმედების გაშლისათვის, გმირის განწყობილების გადმოსაცემად. ხშირად კი მწერალი აღნერს ბუნებას, რათა გვიჩვენოს წინააღმდეგობა ადამიანსა და ბუნებას შორის.

„ბახტრიონში“ ფართოდ არის წარმოსახული ბუნება. პოემის შესავალში დახატულია შეღამების სურათი – ქარი მწარედ ქვითინებს, წვიმებმა მთების გულ-მკერდი ჩარეცხეს, ანკარა წყაროები ახმაურდნენ, პოეტი დაუფარავი აღტაცებით ესალმება თვალუწვდენელ ქედებს:

„მოგესალმებით, ქედებო,
მომაქვს სალამი გვიანი“.

ის, ვინც შეიცნობს ბუნების სილამაზეს, ჩასწვდება მის არსა, სამართლიანი და ჰუმანური გახდება. სიკეთისა და ბედნიერების საწყისი, ვაჟას აზრით, ბუნებაა, რადგან მის გარეშე სიცოცხლე შეუძლებელია.

ვაჟა-ფშაველა ქართულ ლიტერატურაში სამართლიანად ითვლება პეიზაჟის უდაბლო ოსტატად. მან გაამდიდრა ქართული მწერლობა ბუნების მხატვრული სურათებით.

„ბუნება“ ვაჟას წერილებში არ ნიშნავს მხოლოდ ფლორას და ფაუნას. უმრავლეს შემთხვევაში, ეს არის სამყაროს, ობიექტური რეალობის ყოფიერების სინონიმი.

ბუნება არა მხოლოდ ჰარმონიის წყაროა, ის ამავე დროს არის „გონიერი“ საწყისიც.

„ვხედავთ კარგად, ბუნებას რომ თვალები არა აქვს, არც თავი აბია და ტვინი სად ექნება? მაგრამ მისი წესი და რიგი, მისი სიმტკიცე აზრისა და მისწრაფებისა ჩვენ გვაოცებს, გვაკვირვებს, მისი გონიერი მოქმედება ადამიანის გონიერებას ბევრით აღემატება... ყველა დიდებული

ადამიანი თვით ამ ბუნებას ჰგავს ლირსებით და ნაკლით“, – წერს ვაჟა საპროგრამო წერილში „სად არის პოეზია?“

თუ ქართველ რომანტიკოსებთან ბუნება მეტნილად ემოციური დეკორუმის როლს ასრულებდა, ვაჟასთან იგი ამეტყველებული სამყაროა, ფლორისა და ფაუნის ნარმომადგენელი აქ როთული ურთუერთკავშირისა და ურთიერთზეგავლენის ლაბირინთს ქმნიან. თანაც ყველა ისინი საკუთარი ცხოვრების ნიშნებით არიან აღჭურვილნი...

ვაჟა-ფშაველას პოეზიაში მცენარები, ნადირნი და ფრინველები თავისებურად განიცდიან, ფიქრობენ და გრძნობენ. რასაკვირველია, ადამის შვილმა, ვაჟა-ფშაველამ კარგად იცის, რომ იას და ხმელ წიფელს, კლდესა და მთებს ან არწივს სულიერი ცხოვრება არ გააჩნიათ, მაგრამ ის იმას ნიშნავს, რომ ვაჟა-ხელოვანი არ ხედავს ამგვარი ცხოვრების ნიშნებს მათს ხასიათში, მოქცევაში, ფიზიკურ ტკივილსა თუ სიხარულში.

ადამიანისა და ბუნების მოვლენები ერთი მიზნისკენ იყვნენ მიმართულნი. ვაჟა არ ყოფს ერთმანეთისაგან ადამიანსა და ბუნებას. ორივე მსგავსია და სიცოცხლის სრულყოფის ერთი მიზნისკენ მიმართული. მათ შორის არა მარტო მსგავსებაა, ერთგვარობაცაა. ბუნება და ადამიანი ვაჟას მსოფლმხედველობაში ერთიანდება სიცოცხლის განგრძობისა და სრულყოფის უმაღლეს იდიალში.

ვაჟა ერთნაირ კანონზომიერებებს ხედავს ბუნებასა და ადამიანში. ამასთან, არა მხოლოდ ეთიკურის, არამედ მსოფლმხედველობრივის თვალსაზრისით. ამიტომ აკავშირებს იგი ერთმანეთთან ბუნებისა და ერის სულის გაზაფხულებს.

ვაჟას შეხედულებით, არსებობის ძირითადი აზრი სიცოცხლისადმი სწრაფვაშია, მისი უმაღლესი ფორმა კი ადამიანია. სამყარო, როგორც მთლიანობა, მხოლოდ ადამიანურის ასპექტში წარმოიდგინება. ბუნება და ადამიანი ერთმანეთს კი არ გამოხატავენ, ერთგვარობის სფეროში არიან მოქცეულნი და ყოფიერების ერთსა და იმავე კანონზომიერებისადმი დამორჩილებული.

ვაჟა მოხიბლულია სამყაროს გრანდიოზული მშვენიერებით. იგი მონაა ბუნების. „მონა ვარ, მონა ბუნების, თავი არა მაქვს დავისა“, – ამბობს ის.

ასეთია ადამიანისა და ბუნების დამოკიდებულება. მათ შორის არის არავითარი დისტანცია. „ჩვენ ბუნებაში ვართ, იგი ჩვენშია“, – ამბობს ვაჟა.

ყოველი მოვლენა ბუნებისა – ადამიანის ყოველი სულიერ ვითარებაში – უშუალო ტკბობისა და ჭვრეტის საგნად არის გადაქცეული და ბუნების გრძნობის ხასიათი ბუნების თავისთავადი ღირებულების განცდას ეუფლება... ესაა ნამდვილი ესთეტიკური ტკბობა... ბუნების ასეთი გრძნობის გამოსახატავად საჭირო იყო ასეთი პოეტი, რომელიც ბუნებით, როგორც უცხო ობიექტით კი არ იქნება დაინტერესებული, არამედ თავის სულიერ შინაარსად გადააქცევდა მთლიანად ბუნებას.

„ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თავისა“, – ამ ფორმულით გამოთქვა ვაჟამ ის დიდი საიდუმლოება, რომელიც მან ბუნებაში დაინახა. ორი წინააღმდეგობა, ერთი მეორის უარმყოფი, მოქცეულია ერთ დიდ მთლიანობაში, რომელსაც ჩვენ ვერ ვხედავთ. ბუნება ყველაფერია და ადამიანი, რომელიც ამ ბუნებას კონფლიქტში ჩაუდგება, უძღებ შვილსა ჰგავს, რომელიც გარენრობს, მაგრამ ბოლოს იძულებული იქნება ისევ მშობლის კალთას დაუბრუნდეს.

ვაჟამ მთელი ბუნება ისე მომართა, როგორც მისი გული იყო მომართული. აქ ორმაგი პროცესი იყო, თვითონაც ბუნების მოწაფეა, მან თავისი ადამიანობა ბუნებისაგან ისწავლა და არც იღლება დღე-ღამ ბუნების თვალში ცქერით. მისი ცხოვრებისა და მოქმედების ძირითადი პრინციპი იყო: დასულიყო ყოველი მოვლენისა თუ საგნის საიდუმლო ძირმდე, ეპოვნა ყველა შორეული და უხილავი კავშირი, რომელსაც ვერ მივწვდენივართ და ბუნების საიდუმლოებას ვეძახით.

მან იცის, რომ ბუნება არავითარ ძალას არ ემორჩილება თავისი თავის გარდა, („ბუნება მპრძანებელია, იგივე მონაა თავისა“) და თავისი კანონებიდან გადახვევა არ იცის, მაგრამ ვაუა შორსაა იმისგან, რომ ბუნების ეს კანონზომიერება სრულყოფილად სცნოს და მით ბუნების ჰარმონია აღიაროს პირიქით, ეს კანონზომიერება ვაუასთან ტრაგიკულად განიცდება. ვაუა მთელი არსებით უჯანყდება რკინისებურ აუცილებლობას, რომელიც ყველაფერს ლამაზს, ამაღლებულსა და კეთილს ისევე ანადგურებს, როგორც მახინჯს, სუსტისა და უვარგისა:

„ბუნების ცოდვა ეს არის, მუდამ საწყინო ჩემია,
ავსა და კარგსა ყველას სპობს, არავინ გადურჩენია“.

ბუნება მისთვის არ არის უსულო არსება, ვაუას ბუნებაში ყოველი არსება ცოცხლობს. მის-თვის არ არსებობს სიცოცხლის გარეშე ბუნებისა და პოეზია ვერ დაასახელებდა უკეთეს პო-ეტს, რომელსაც გადმოეცემა ეს შინაგანი გრძნობა ბუნებისა და ადამიანის თანაყოფისა.

ვაუა-ფშაველა უნივერსალური შემოქმედია; ასე იმიტომ არის, რომ მის გენიალურ ქმედება-თა ასეთ პარალელებს ვპოვებთ მსოფლიო ლიტერატურაში; განა მინდია იგივე ჰაიგიტა არ არის? ლონგელფოს ამ უკვდავმა ქმნილებამ ამერიკის უძველეს მკვიდრთა ხალხურ ეპოსში ისევე იპოვა შთაგონების წყარო, როგორც „გველის მჭამელმა“ ქართული მთის ხალხურ ეპოსში – „ხოგაის მინდიაში“; განა ვაუა-ფშაველამ არ გაიგონა პირველად მსოფლიო მწერლობაში ტყის ტირილი როდესაც მონადირეებმა მისი პირმშო ლალი ირემი წუთისოფელს გამოასალმეს?...

... ვაუა-ფშაველა არ იყო ვიწრო, კარჩაკეტილი, მხოლოდ საყოფაცხოვრებო მწერალი, მისი გენია შთაგონების უნივერსალურ წყაროს ჰპოვებდა თავის პატარა ფშავში. ვაუამ ეს პატარა კუთხე მსოფლიოდ აქცია და ღმერთი კოპალე, კაცი მინდია და მგელი ტოტია მანფრედს, ფა-უსტს და მაუგლის გვერდით ამოუყენა.

მსოფლიო ლიტერატურაში ძნელია მეორე პოეტის აღმოჩენა, რომელისაც ვაუა-ფშაველაზე უფრო გამახვილებული გრძნობა ჰქონდეს ბუნების საიდუმლოების ასახსნელად და მისი მშვე-ნიერების ასათვისებლად. ის დაჯილდოებულია არაჩვეულებრივი მდიდარი ქვეშეცნობილი ცხოვრებით, მისი სული თითქოს სრულიად ბუნებრივ დიალოგს მართავს არა მარტო ცხოვე-ლებსა და მცენარეებთან, არამედ კლდეებსა და ქვის ლოდებთანაც. ამიტომ მისი პოეტური პე-იზაჟები რაღაც სასწაულის შთაბეჭდილებას ახდენენ თანამედროვე ადამიანზე, განსაკუთრე-ბით, როცა ეს უკანასკნელი მოწყვეტილია ბუნებას და თავისი ცხოვრების უდიდეს ნაწილს ას-ფალტიანი ქუჩებისა და აგურის შენობების გარემოცვაში ატარებს.

ლიტერატურა:

1. ევგენიძე ი., „ვაუა-ფშაველა“, თსუ, გამომცემლობა, თბ., 1989.
2. ქართველი მწერლობი ვაუა-ფშაველას შესახებ, თბ., 2002.
3. წოწოლაური დ., ვაუა-ფშაველას შესახებ, თბ., თსუ გამომცემლობა, 2008.

TAMAR DEKANOSIDZE

VAZHA-PSHAVELA AND NATURE

SUMMARY

Nature is a phenomenon of divine harmony, and a person is part of this harmony. Vazha-Pshavela, as a nature admirer has introduced new breath in our literature. In Georgian literature the poet is considered to be a master of landscape. He has enriched Georgian writing with images of artistic nature. Therefore his poetic landscapes make some miracle impression in man.



უცხოური ენების სწავლების მეთოდიკა

METHODOLOGY OF TEACHING FOREIGN LANGUAGES

რუსულან გოგოსია

მოტივაცია, ზოგადი დაგულებები და სასწავლო პროცესთან ურთიერთობისართება

ის, რომ მოტივაცია არის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი უცხოურ ენაში წარმატების მისაღწევად, უდავოა.

როდესაც ვინმე მოკლე დროში უცხოური ენის შესწავლას დააპირებს, ამბობენ: მოტივირებული უნდა იყოსო. მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს ეს? როდის არის ადამიანი მოტივირებული? მაღალი მოტივაცია სწავლის წარმატების წინაპირობაა თუ შედეგი?

კვლევების თანახმად, არსებობს მიზეზშედეგობრივი კავშირი მაღალ მოტივაციასა და უცხოური ენის წარმატებით ათვისებას შორის. რა თქმა უნდა, წარმატებული სწავლა პოზიტიურად მოქმედებს მოტივაციაზე. ზოგადად, მოტივაცია დღეს „წარმატებული სწავლის გასაღებად“ მიიჩნევა.

მოტივაცია არის „კონსტრუქტი“, რითაც ადამიანი ამა თუ იმ საგანს ან ქმედებას უპირატესობას ანიჭებს. რასაკვირველია, კავშირი ქცევასა და მოტივს შორის ძალიან იშვიათად არის ისე მარტივი და ცხადი, როგორც კრიმინალურ ისტორიებში. ხშირად რამდენიმე, ურთიერთგამომრიცხავი მოტივი არის ხოლმე რაიმე ქცევის წარმართვის მიზეზი. ზოგადად, მოტივაციაში სამი კომპონენტის გამოყოფა შეიძლება (6):

1. ადამიანი მიმართულია მიზნისკენ, რომელიც შეიძლება პოზიტიური ან ნეგატიური იყოს;

2. ამ მიზნის მიღწევის სურვილი;

3. მოსწავლე მზადა სიძნელეები თავისთავზე აიღოს, რათა მიზანს მიაღწიოს.

ელისის მიხედვით, მოტივაცია „ძირითადი ფაქტორია უცხოური ენის შესწავლისას“.

უცხოური ენის შესასწავლად მოტივაციის გაჩენაზე სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. ითვლება, რომ ყოველ ადამინს სოციალიზაციის პერიოდში სპეციფიკური განწყობები (კულტურულად სპეციფიკური განწყობები) უმუშავდება. ამგვარი დამოკიდებულება ვლინდება უცხოური ენებისა და კულტურის მიმართაც. მაგალითად, გერმანელები, ინგლისური ენის, როგორც მსოფლიო ენის მიმართ, ხშირად პოზიტიურად არიან განწყობილნი, თუმცა, ინგლისური და ამერიკული კულტურა მათვის მეორებარისხოვან როლს თამაშობს.

რავენი ინტელექტის ყველაზე პოპულარული ტესტის ავტორი, თავის წიგნში „კომპეტენტურობა თანამედროვე სამყაროში“, წერდა: „ქცევა განისაზღვრება მოტივაციით ბევრად მეტად, ვიდრე უნარით. ფსიქოლოგების, პედაგოგების ძირითადი ამოცანაა მოახდინონ თავიანთი ძალების კონცენტრაცია მოტივაციის შეფასებაზე“.

დ. უზნაძე (2) მოტივს ქცევის ფსიქოლოგიურ საფუძველს უწოდებდა.

თანამედროვე ამერიკელი ფსიქოლოგები მიუთითებენ მოტივის სამვარ ფუნქციას: მოტივი აღძრავს ქცევას, აძლევს მას მიმართულებას და უზრუნველყოფს მას.

ქეიტმა და ქულმა (1) განსაზღვრეს ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს მიღწევებს სწავლაში. მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა უნარი, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მოტივაცია და სწავლების ხარისხი. აღმოჩნდა, რომ მოსწავლეები, რომლებიც

სწავლობენ კარგ სკოლებში სწავლების საუკეთესო პროგრამებით, უფრო მოტივირებულნი არიან. მაღალი მოტივაციის მქონე მოსწავლეები მეტს მუშაობენ, ასრულებენ დიდი მოცულობის დავალებებს და შედეგიც უკეთესი აქვთ.

არსებობს ბევრი მითი მოტივის შესახებ (იმედაძე, ნ.; ჯაში, უ. 2005. განათლების ფსიქოლოგია).

მითი 1: თუ მოსწავლეები აქტიურად არ არიან ჩართულნი თავიანთ სამუშაოში, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი არ არიან მოტივირებულნი.

მითი 2: მარცხი კარგი მოტივაციაა.

მითი 3: სწავლება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოტივაცია.

მითი 4: მასწავლებლები უქმნიან მოსწავლეებს მოტივაციას.

მითი 5: მუქარა ზრდის მოტივაციას.

მითი 6: მოტივაციის გაზრდა ავტომატურად ზრდის სწავლების ეფექტს.

აი, რა აზრის არიან ფსიქოლოგები ამ მითების შესახებ.

1. მოსწავლეს შეიძლება არ გააჩნდეს სწავლის მოტივაცია, მაგრამ სხვა რამის კეთების მოტივაცია ჰქონდეს. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია კლასში დისციპლინის პრობლემები შეგვექმნას;

2. მარცხი კარგია გამოცდილებისთვის, მაგრამ ხშირ მარცხს უამრავი პრობლემა შეიძლება მოჰყვეს;

3. ზოგიერთი ფსიქოლოგის მიხედვით, სკოლაში მთავარია შინაარსი, მაგრამ იგი სწავლის მისიას ვერ შეასრულებს, ვიდრე სწავლა მნიშვნელობას იქნება მოკლებული;

4. მასწავლებელი მხოლოდ ეხმარება მოსწავლეებს შექმნან შინაგანი მოტივაცია;

5. კლასის უარყოფითი ატმოსფერო სწავლის მოტივაციას ასუსტებს;

6. მოტივაცია თანდათან სუსტდება და შეიძლება გაქრეს თუ სხვა მომენტები არ არის გათვალისწინებული: მაგ.: გაკვეთილის ცუდი დაგეგმვა, მცირე კონტროლი, რაც ადაბლებს სწავლის მოტივაციას (1).

დესის და რიანის (7) მოდელი, რომელიც განათლების ფსიქოლოგიაში გამოიყენება, განასხვავებს შინაგან და გარეგან მოტივაციებს.

შინაგანად მოტივირებული ქცევებია, როცა ადამიანს სურს გაერთოს კონკრეტული აქტივობების კეთებით. გარეგანად მოტივირებული ქცევებია, როდესაც ინდივიდს სურს მიიღოს ჯილდო ან თავი აარიდოს დასჯას. შინაგანი მოტივაცია: როდესაც მოქმედებას აღძრავს ამ საქმიანობისგან (ჩვენს შემთხვევაში – სწავლისაგან) მიღებული სიამოვნებისკენ სწრაფვა, ანუ ინტერესი. გარდნერმა (6) განსაზღვრა მოტივაცია, როგორც „სივრცე, სადაც ინდივიდი მუშაობს, ან ცდილობს ისწავლოს ენა იმისთვის, რომ დაეუფლოს მას“.

შინაგანი მოტივაციის მქონე სტუდენტები ცდილობენ იყვნენ წარმატებულნი და დამოუკიდებელნი.

გარეგანი მოტივაციის დროს სტუდენტების მოტივაცია მომდინარეობს გარემოსგან. გარეგანი მოტივაციაა, როდესაც ადამიანში სურვილს (ჩვენს შემთხვევაში სწავლის) აღძრავს გარედან მოსული სტიმული. სტუდენტი სწავლობს იმიტომ, რომ შეაქონ, ან აიცილოს მარცხი. ბევრი მკვლევარი და თეორეტიკოსი აღნიშნავს, რომ შინაგანი მოტივაცია უფრო მეტად შეესაბამება წარმატებას, ვიდრე გარეგანი მოტივაცია, მაგრამ მოსწავლეში ხშირად არის გარეგანი და შინაგანი მოტივაციის კომბინაცია. გარეგან მოტივაციას შეუძლია გაზარდოს, ან შეამციროს შინაგანი მოტივაცია.

ქართულ ფსიქოლოგიაში სწავლის მოტივაციის საკითხი საფუძვლიანად დაამუშავა შ. ჩხარტიშვილმა (3). მოტივაციური საფუძვლის მიხედვით ის განარჩევს სწავლის სამ სახეს: ლატენტურს, სწავლას ჰეტეროგენული მოტივაციით და სწავლას ჰომოგენური მოტივაციით. სწავლის

მოტივაციის განხილვის დროს გამოყოფენ სხვადასხვა თეორიულ მიდგომას: კოგნიტურ-ჰუმანისტურს, ბიჰევიორისტულს.

სტუდენტთა მიერ უცხოური ენის შესწავლის მოტივაციური საფუძვლების კვლევისას გამოვდივართ ორი ძირითადი წანამძღვრიდან:

■ უცხოური ენის ათვისების პროცესი სასწავლებლის პირობებში იმთავითვე პოლიმოტივირებულია. დებულება სწავლის პროცესის პოლიმოტივაციური ბუნების შესახებ საკმაოდ გავრცელებულია (3)

■ სასწავლებელში (სკოლის უფროსი კლასები, უმაღლესი სკოლა) ენის შესწავლის მოტივაციური სტრუქტურა იერარქიზებულია და გულისხმობს გარკვეული მოტივების დომინირებას. ვვარაუდობთ ავრეთვე, რომ აღნიშნული იერარქია ატარებს დინამიკურ ხასიათს, ე. ი. მოტივთა დომინირების პოზიცია ცვალებადობს: ა) ინდივიდუალურ-ასაკობრივი პრეფერენციების შეცვლის გამო; ბ) სწავლებაში გამოყენებული ტექნოლოგიების გამო; გ) ქვეყანაში ფართო სოციალური კონტექსტის ცვალებადობის გამო.

აღნიშნული თეორიული დებულებები მოითხოვს ემპირიულ დადასტურებას.

დავალების შესრულებას თან ახლავს წარმატებაცა და მარცხიც. წარმატებისა და მარცხის სიხშირე დამოკიდებულია წინა დავალების შესრულებით მიღებული წარმატებებისა და მარცხის გამოცდილებაზე, სამუშაოს სიდიდეზე ან იმ კავშირების დადგენაზე, რომლებიც არსებობს შესრულებული სამუშაოს მარცხსა და წარმატებას შორის.

კოგნიტური თეორიის მომხრე ფსიქოლოგებმა (5) ყურადღება მიაქციეს ატრიბუციის თეორიას, რომელიც სწავლობს თუ რა მიზეზებს ასახელებს ადამიანი საკუთარი შედეგების ახსნის დროს. ასეთი თეორიები ფუნდამენტურად მიიჩნევს იმას, თუ როგორ მიაწერენ ადამიანები მიზეზებს ვითარებებს და ვარაუდობენ, რომ ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმით, თუ როგორ ასრულებენ მას.

ატრიბუციის თეორიის მნიშვნელობა მოსწავლეთა ქცევის გასაგებად ნათელი ხდება, როდესაც მას ვუკავშირებთ მიღწევის მოტივაციას. ზოგიერთი ადამიანი იქცევა ისე, თითქოს მის-თვის მთავარია წარმატების მიღწევა, ზოგი კი ისე, თითქოს მთავარია აიცილო წარუმატებლობა, მარცხი. მაკლელანდის აზრით, ადამიანები, რომლებსაც წარმატების მიღწევის ძლიერი მოთხოვნილება აქვთ, მიზნებს აღწევენ კიდევ. ამ მოთხოვნილების ფორმირებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება მშობლების განწყობას. მიღწევის ძლიერი მოთხოვნილების მქონე მშობლები ბავშვებისგანაც ბევრს ითხოვენ და დამოკიდებლად ზრდიან, მაშინ, როდესაც ამგვარ მოთხოვნილებათა არმქონე მშობლები ბავშვების მიმართ მზრუნველობას იჩენენ და პასიურ პიროვნებებად ზრდიან. გამოკვლევები აჩვენებს, რომ მიღწევისას მაღალი მოთხოვნილების მქონე ბავშვებს უფრო კარგ შედეგები აქვთ სკოლაში.

ამ თვალსაზრისით ორ ძირითად სახეს განარჩევენ: კონტროლის შინაგან ლოკუსს, როდესაც ადამიანი თავის წარმატებას და წარუმატებლობას საკუთარ უნარს მიაწერს. კონტროლის გარეგანი ლოკუსი გულისხმობს, რომ ადამიანი საკუთარ წარმატებას ან მარცხს გარეგან ფაქტორებს მიაწერს. პირადი პასუხისმგებლობა და სტაბილურობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის მოტივაციას.

არსებობს სხვა მიდგომა მოტივაციის მიმართ: მიღწევის მოთხოვნილების თეორია (Need Achievement Theory). დ. მაკლელანდის მოტივაციის თეორიის მიხედვით, ინდივიდს აქვს სწრაფვა მიაღწიოს მის წინაშე მდგარ მიზნებს და ამოცანებს უფრო ეფექტურად, ვიდრე ადრე.

ყველაზე უფრო ზოგადი დონე, რომელიც ფოკუსირებულია ორიენტაციაზე და მოტივებზე, დაკავშირებულია უცხოური ენის სხვადასხვა ასპექტთან, როგორიცაა კულტურა, საზოგადოება და გამოცდილება. ეს ძირითადი მოტივები განსაზღვრავს ძირითად სასწავლო მიზნებს.

ფსიქოლოგიური კვლევის თანახმად, მოტივირებული, წარმატებული მოსწავლეები: а) არიან აქტიურები; ბ) აქვთ კონტროლის შინაგანი უნარი, რწმენა; ისინი აკონტროლებენ საკუთარი ცოდნის ხარისხს და სჯერათ, რომ მათი წარმატება არ არის დამოკიდებული იღბალზე, რომ მათ წარმატებას არ აკონტროლებს მასწავლებელი, ან სხვა ფაქტორები; გ) პოზიტიურად არიან განწყობილნი სწავლისადმი; დ) სოციალური ურთიერთობის სურვილი აქვთ და სურთ იყვნენ დამოუკიდებლები.

მოტივაციასთან დაკავშირებული უამრავი ფაქტორი არსებობს, მაგალითად: შფოთვა, თავ-დაცვითი მექანიზმები, შინაგანი ურთიერთდამოკიდებულება, თვითშეფასება, აქტიურობა, თვითაქტუალიზაცია, თვითრეგულაცია, თვითმართვა, რწმენა, ემოცია, თვითმონიტორინგი. ყველა ეს ფაქტორი დიდ როლს თამაშობს მოსწავლის ავტონომიურობაში.

ზოგიერთმა კვლევამ აჩვენა, რომ მასწავლებელი (ასევე მშობელი) გავლენას ახდენს სწავლის ეფექტურობაზე და შეიძლება იყოს კიდევაც ძლიერი მოტივატორი. ერმანის (8) მიხედვით, უცხოური ენის სწავლის მოტივაცია რთული ფაქტორია სწავლაში. ეს შეიძლება დავუკავშიროთ სწავლის სტილს, პიროვნულ ტიპს, ეთნიკურ თავისებურებას, ზოგად კოგნიტურ უნარს, ენის უნარს, სწავლის სტრატეგიებს, ენის სწავლების ისტორიას.

ზოგიერთმა მკვლევარმა აღნიშნა, რომ სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორები დიდ გავლენას ახდენს ენის სწავლის მოტივაციაზე.

მასლოუს მოტივაციის იერარქიული თეორიის ცოდნა საშუალებას აძლევს პრაქტიკოს მასწავლებლებს, დაადგინონ იერარქიის რომელ საფეხურზეა მოსწავლე, განსაზღვრონ, რა მოტივები უდევს საფუძვლად სწავლას, რის შედეგადაც შესაძლებელია სწავლის ადეკვატური სტრატეგიების შემუშავება და მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა.

როგორც ცნობილია, მასლოუს (10) იერარქიული მოდელის მიხედვით მოთხოვნილებები საფეხურებად ლაგდება: 1) თვითაქტუალიზაცია (საკუთარი შესაძლებლობების დასაკმაყოფილებელი საჭიროები); 2) თვითდაფასება (მოთხოვნილება, იგრძნო თავი კომპეტენტურად და მოიპოვო აღიარება სხვებისგან); 3) რომელიმე სოციალურ ჯგუფთან მიეუთვნებისა და სიყვარულის საჭიროება; 4) ფიზიკური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოების საჭიროება; 5) ფიზიოლოგიური საჭიროება (მაგ.: საჭმელი, სითბო).

მოტივაცია და შედეგზე ორიენტირებული დავალების შესრულება შესაძლებელია მაშინ, თუ ის შეესაბამება: а) კონკრეტული ამოცანების მიღწევისთვის აუცილებელ საჭიროებებს; ბ) დავალების წარმატებით შესრულების მოლოდინს; გ) დავალების წარმატებით დასრულებით მიღებულ საკუთარი შესაძლებლობების განცდას (9).

მოტივაციას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე წყარო. ერთი ასეთი წყარო შეიძლება იყოს თვით სწავლების პროცესი (ჰიპოთეზა). ასეთ შემთხვევებში სტიმული მოტივაციისათვის იქნებოდა სწავლისადმი თანდაყოლილი ინტერესი იმიტომ, რომ თვით საკლასო ოთახები ან სასწავლო სიტუაციები შეიძლება იყოს მიმზიდველი. ისინი, ვინც კარგად სწავლობენ, ღებულობენ ჯილდოს და აქვთ სტიმული უფრო მეტი ისწავლონ: იმ მოსწავლეებს, რომლებიც არც ისე კარგად სწავლობენ, სტიმული არ აქვთ წარუმატებლობის გამო და შედეგად აკლიათ ჟინი. მოტივაცია შეიძლება იყოს უფრო შედეგი, ვიდრე წარმატების მიზეზი.

მოტივაციის ოთხი წყარო შეიძლება სისტემურად ჩამოყალიბდეს ორი ორთან მათი ურთიერთქმედების გასარკვევად, როგორც არის ცხრილში 1. ზედა რიგი ფარავს ზემოქმედებებს სტუდენტების მოტივაციაზე, რაზეც შეიძლება ზემოქმედებდეს გარე ფაქტორები. ეს ზემოქმედებები შეიძლება იყოს მასალებისა და საქმიანობების გამოყენება უფრო მეტი შიდა ინტერესით ან უფრო შთამაგონებელი და წამახალისებელი მასწავლებლების დახმარებით. ისინი ასევე შეიძლება შეიცავდეს ხშირი ტესტებისა და გამოცდების გამოყენებას ან სწავლისათვის ჯილდოს მიცემას და პირიქით, ქვედა რიგი ხაზს უსვამს ინდივიდის როლს.

ამრიგად, სწავლის მოტივაციის ზოგადი თეორიული მიდგომები შეიძლება შეჯამდეს ცხრილში: (1).

ცხრილი 1: მოტივაციის თეორიები

ავტორი	თეორია	თეორიის ცენტრალური ელემენტი	მოტივაციის ახსნა
სკინერი	ბიჰევიორიზმი	განმტკიცება	განმამტკიცებლის აღწერა
ბანდურა	სოც.-კოგნიტური	წაპაძვა	მოდელირება
ბრუნერი	კოგნიტური	აღმოჩენა	მოტივთა კომპლექსი
მაკლელანდი	მიღწევის	მიღწევის მოთხოვნილება	ცვლილებები მიღწევის მოთხოვნილებაში
ვაინერი	ატრიბუციის	ქცევის მიზეზები	ქცევის მიზეზების წვდომა
მასლოუ	ჰუმანისტური	მოთხოვნილებათა იერარქია	მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება

ლიტერატურა:

1. იმედაძე ნ., ჯაში უ., განათლების ფსიქოლოგია, დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, რედაქტორი მ. ჯაფარიძე, თბილისი, 2005.
2. უზნაძე დ., შრომები, ტომი III-IV, ზოგადი ფსიქოლოგია, მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობა, თბილისი, 1964.
3. ჩხარტიშვილი შ., სწავლის მოტივაციური სტრუქტურა, „სკოლა და ცხოვრება”, 1972.
4. Brown G. and Yule G. Teaching the Spoken Language. Cambridge University Press. 1983.
5. Brown H. D. Principles of Language Learning and Teaching. 2nd edition. San Francisco State University. Prentice Hall Regents, Englewood Cliffs, NJ 07632, 1987.
6. Gardner R. C. Correlation, causation, motivation and second language acquisition. Canadian psychology, 41, 1-24, 2003.
7. Deci L., and Ryan M. Intrinsic motivation and self-determination in human behavior. Plenum, New York, 1985.
8. Ehrman M. E. Field independence, field dependence and field sensitivity, In: Reid, J. (Ed.), Understanding Learning Styles in the Second Language Classroom. Prentice Hall Regents. Englewood Cliffs, NJ. pp. 62-70, 1997.
9. McClelland D. C., Atkinson J. W., Clark R. A., & Lowell E. L. The achievement Motive, New York: Appleton, Century, Crofts. 1953.
10. Maslow A. Motivation and Personality. Second Ed. NY: Harper, Third Ed. 1970.

RUSUDAN GOGOKHIA

**MOTIVATION, GENERAL PROVISIONS AND RELATIONSHIP
WITH THE LEARNING PROCESS**

SUMMARY

The paper discusses some issues connected with the motivation, general provisions and relationship with the learning process. According to psychological research highly motivated and successful students: a) are active; b) have the inner ability of self-control, they can control the quality of their knowledge and believe that their success does not depend on luck, they are not controlled by the teacher or other factors; c) they are positively interested in learning; d) have a desire of social relations and want to be independent.



დოდო პერთიანა

/სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი/

პარიგის (კუბის) 1962 წლის პრიზისის დარეგულირება და მისი ისტორიული გაკვეთილები

მეორე მსოფლიო ომის შედეგი იყო ბიპოლარული მსოფლიო სისტემის ჩამოყალიბება ორი ზესახელმწიფოს – აშშ-ისა და სსრ კავშირის კონფრონტაციითა და „ცივი ომით“.

კარიბის (კუბის) კრიზისი თავდაპირველად სწორედ ცივი ომის ერთ-ერთი გამოვლინება იყო, მაგრამ მაღლე მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენად იქცა, რამეთუ კარიბის ზღვის ამ არც თუ ისე დიდმა კუნძულმა – კუბამ ძალზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მსოფლიო ისტორიაში.

1953 წლის 26 ივნისს „მონკადის“ შეტევით დაწყებული ბრძოლა, რომელსაც ფიდელ კასტრო რუსი ხელმძღვანელობდა, სახალხო რევოლუციაში გადაიზარდა. 1959 წლის 2 იანვარს კუბაში ფულხენსიო ბატისტას სამხედრო-პოლიტიკური დიქტატურა დაემხო.

კუბის რევოლუციამ ძველი სახელმწიფო მანქანა დაამსხვრია და მმართველობის ახალი ფორმა დაამყარა. ეს მოვლენა მსოფლიო სენსაცია გახდა, რადგან თავისუფალი სამყაროს ციტადელის – აშშ-ის გვერდით პატარა ტოტალიტარულ-დიქტატორული სახელმწიფო გამოჩნდა, რომელმაც საგრძნობი დარტყმა მიაყენა ჩრდილოეთ ამერიკის მონოპოლიების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს, ასევე – დემოკრატიულ სისტემას.

თავდაპირველად ფ. კასტროს საბჭოთა მთავრობასთან მჯიდრო ურთიერთობა არ ჰქონდა. პირველი შეხვედრა ნ. ხრუშჩოვსა და ფ. კასტროს შორის გაიმართა 1960 წლის ოქტომბერში, ნიუ-იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე, რის შემდეგაც ამ ორი ლიდერის ურთიერთობაში საბოლოო გარდატეხა მოხდა.

საბჭოთა კავშირის ახალი მოკავშირე ხდებოდა ქვეყანა დასავლეთ ნახევარსფეროში, რომელიც თითქმის ასი წელი აშშ-ის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ეს გამოწვევა იყო ვაშინგტონისათვის.

კუბის გეოგრაფიული მდებარეობა საბჭოთა სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის თვალში კუნძულს ძალზე მიმზიდველს ხდიდა ჯარებისა და სტრატეგიული ძალების დისლოკაციისათვის. ცივი ომის გამწვავების ვითარებაში, როცა ხდებოდა ნატოს რაკეტების სასწრაფო განლაგება საბჭოთა საზღვრების პერიმეტრზე, როცა ამერიკული თვითმფრინავები სისტემა-ტურად აწარმოებდნენ საბჭოთა ტერიტორიის დაზვერვას, თანამედროვე იარაღის გადატანა უშუალოდ ამერიკის სანაპიროებთან, მოსკოვის წარმოდგენით, სსრ კავშირს საგრძნობ დივიდენდებს მისცემდა ორი სისტემის დაპირისპირებაში; ამასთან, საგრძნობლად აამაღლებდა ახალგაზრდა კუბის სახელმწიფოს პრესტიულს აზისა და აფრიკის ახლად გათავისუფლებული ათეულობით ქვეყნის თვალში.

1960 წლის 10 ოქტომბერს შეერთებულმა შტატებმა კუბას სრული ემბარგო დაუწესა ყოველგვარი საქონლის მიწოდებაზე (კვების პროდუქტებისა და მედიკამენტების გარდა).

პარალელურად ღრმავდებოდა ურთიერთობები კუბასა და სსრ კავშირს შორის. 1960 წლის 19 თებერვალს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ორ სახელმწიფოს შორის, რომლითაც საბჭოთა კავშირმა აიღო ვალდებულება 1960 წლის მოსავლიდან კუბისაგან ეყიდა 425 ათასი ტონა შაქარი, ხოლო 1962-1964 წლებში – მილიონი ტონა ყოველწლიურად. ფ. კასტრომ ეს

ხელშეკრულება შეაფასა, როგორც „ყველაზე ხელსაყრელი ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერა რესპუბლიკამ“.

1961 წლის იანვრიდან შეერთებულმა შტატებმა დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა კუბასთან და შეუდგა ინტერვენციისათვის აშკარა მზადებას.

1961 წლის 15 აპრილს დესანტის გადასხმის ოპერაცია კუბაზე წარუმატებელი აღმოჩნდა და ცსს-ს დირექტორის ალენ დალესის გადადგომის მიზეზი გახდა. ასევე წარუმატებელი იყო 1962 წელს ჩატარებული ოპერაცია „ორტსაკ“ (ORTSAC), ანუ „კასტრო“, თუ მას უკულმა წავიკითხავთ.

1962 წლის იანვარში, აშშ-ის წინადადებით, მოიწვიეს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის თათბირი, რომლის გადაწყვეტილებით კუბა გარიცხეს ამ ორგანიზაციიდან (მოგვიანებით, 1964 წელს, კუბასთან ურთიერთობა გაწყვიტა ლათინური ამერიკის ყველა ქვეყანამ, მექ-სიკის გარდა).

1962 წლის იანვრის ბოლოს გენერალ ლენსდეილის გეგმა, რომელიც 33 მუხლისაგან შედგებოდა, დამტკიცებული იყო, თუმცა 16 ოქტომბერს, კუბაზე საბჭოთა რაკეტების აღმოჩენის შემდეგ, ჯ. კენედიმ უარი თქვა „მანვუსტის“ განხორციელებაზე. ფიდელ კასტროს რეჟიმის დამხობის ორმა წარუმატებელმა ოპერაციამ გამოუვალ მდგომარეობამდე მიიყვანა ისედაც დაძაბული ურთიერთობა ამერიკასა და კუბას შორის, ჰავანა-მოსკოვის ურთიერთობის განმტკიცების ფონზე.

სსრ კავშირის მიზანი არა მარტო კუბის დაცვა იყო, არამედ შეერთებულ შტატებთან ბირთვულ ძალთა თანაფარდობის შეცვლა, რაც საბჭოთა მხარეს შესაძლებლობას მისცემდა მიეღწია აშშ-ისაგან ბერლინის და სხვა აქტუალურ საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე დათმობისათვის, გაეფართოვებინა თავისი გავლენის სფერო თვით ამერიკის კონტინენტზე. საბჭოთა კავშირში ხუმრობდნენ კიდეც, რომ კუბის სახელწოდება იშიფრებოდა, როგორც „Коммунизм у берегов Америки“.

1962 წლის 24 მაისს სკეპ ცკ პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე მიიღეს 6. ხრუშჩივის წინადადება საბჭოთა საშუალო მოქმედების რადიუსის რაკეტების კუბაზე განთავსების შესახებ; თუმცა ამ წინადადებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ა. მიქოანი, რომლის კომენტარზე – „ნიკიტა, ეს სახითათო გადაწყვეტილებაა“ – ხრუშოვის პასუხი ასეთი იყო: „სხვა რამის შემოთავაზება ჩვენ არ შეგვიძლია, კუბა საბჭოთა კავშირისათვის იგივე გახდა, რაც დასავლეთ ბერლინი ამერიკისათვის, ის ჩვენი ბლოკის ნაწილია და თუ მე, როგორც ზესახელმწიფოს ლიდერი, მას არ დავიცავ, თუმცა მიწის უსარგებლო, პატარა ნაჭერია, ჩემს სახეს დავკარგავ“.¹

ამგვარად, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ კუბაზე საბჭოთა საშუალო რადიუსის რაკეტების განთავსების შესახებ გადაწყვეტილება საბჭოთა სახელმწიფოს ლიდერმა ხრუშოვმა მიიღო ერთპიროვნულად, მიუხედავად იმისა, რომ მის თანამოაზრეთა შორის ამ საკითხზე ერთიანი აზრი არ არსებობდა. ეს კი იმით იყო გამოწვეული, რომ უმაღლეს პარტიულ-სახელმწიფოებრივ ელიტას არ გააჩნდა სახელმწიფოს მეთაურის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების ინსტრუმენტი.

საბჭოთა წინადადებამ თავდაპირველად დააბნია ფიდელ კასტრო, მაგრამ საბჭოთა მხარემ არგუმენტად კუბაზე ამერიკელთა აგრესის საფრთხე დასახელა და ისიც დათანხმდა.

¹ Корреспондент: Третья мировая. Как Карибский кризис едва не поставил точку в истории планеты Земля-архив. <http://korrespondent.net/world\1416946-Korrespondent-tretya-mirovaya-kak-karibskij-krizis-edva-ne-postavil-tochku-v-istorii-planety-zemlya>

„თუ ეს საჭიროა სოციალისტური ბანაკის განმტკიცებისათვის, ჩვენ მზად ვართ“² – განაცხადა კუბის ლიდერმა.

ისმის კითხვა, თუ რომელი გაფორმებული დოკუმენტის საფუძველზე უნდა განელაგებინა საბჭოთა მხარეს მომაკვდინებელი შეიარაღება აშშ-ის სანაპიროებიდან 90 კმ-ზე? ამაზე ნახევარი საუკუნის შემდეგაც კი არ არის პასუხი, რადგანაც ასეთი დოკუმენტი არ არსებობს!

მართალია, იყო შეთანხმების პროექტები სხვადასხვა ფორმულირებით, მაგრამ საბოლოოდ შეთანხმება არ იქნა ხელმოწერილი!³

კუბისა და სსრ კავშირის ასეთ ურთიერთობებს არ შეეძლო არ გაემწვავებინა დაპირისპირება სსრ კავშირსა და აშშ-ს შორის. მსოფლიოში პირველად გადამწყვეტი როლი სწორედ რომ სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარებს უნდა ეთამაშათ.

1962 წლის ივნისში სსრ კავშირში შემუშავდა დოკუმენტი – „ღონისძიება „ანადირის“ მოზადების და განხორციელების გეგმა“, რომელსაც ხელი მოაწერეს გენშტაბის და მთავარი ოპერატიული სამმართველოს უფროსებმა და ბოლოს დაამტკიცა თავდაცვის მინისტრმა.

„ანადირი“ იყო იმ სამხედრო ოპერაციის კოდური სახელწოდება, რომლის დროსაც განხორციელდა საბჭოთა ატომური რაკეტების საიდუმლო განლაგება კუნძულ კუბაზე. ოპერაციაში მონაწილეობდა და საიდუმლო შტაბის წევრი იყო ქართველი ვიცე-ადმირალი გიორგი აბაშვილი.

ოპერაციის დაწყების მიზეზად დასახელდა აშშ-ის მხრიდან კუბის სავარაუდო ინტერვენცია. ნამდვილი მიზეზი კი იმ სტრატეგიული წონასწორობის აღდგენა იყო, რომელიც აშშ-მა დაარღვია იტალიასა და თურქეთში რაკეტების განლაგებით.

1962 წლის 10 და 16 ივნისს კუნძულზე ორ ჯგუფად მოხდა პირადი შემადგენლობისა და ტექნიკის გაგზავნა გენერალ ისოი პლიევის მეთაურობით, რომელიც კუბაზე განლაგებული საბჭოთა ჯარების მეთაური გახდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს ნაბიჯი გასაიდუმლოებული იყო არა მარტო საზოგადოებისათვის, არამედ მთელი დიპლომატიური სამსახურისთვის. საბჭოთა ელჩმა აშშ-ში ა. დობრინინმა და გაეროში სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა ვ. ზორინმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. უფრო მეტიც, მათ ინსტრუქცია ჰქონდათ: ყველა სახის შეკითხვაზე რაკეტების შესახებ ეპასუხათ, რომ კუბას ჩვენ ვაწვდით მხოლოდ თავდაცვის იარაღს და არავითარი დაწვრილებითი პასუხი არ გაეცათ რაიმე ბირთვული იარაღის შესახებ. „ჩვენ თავდაპირველად არც ერთი ამერიკელი არ გვისვამდა ასეთ კითხვას, ვინაიდან არავის თავში, მათ შორის მეც, არ მოგვივიდოდა „ასეთი დაუჯერებელი აზრი“, – იხსენებდა ა. დობრინინი.⁴

1962 წლის 14 ოქტომბრის ღამის 3 საათზე ედვარდსის ავიაბაზიდან (კალიფორნია) ამერიკული მზვერავი თვითმფრინავი Lockheed U-2 აფრინდა, რომელსაც მაიორი რიჩარდ ჰეიზერი პილოტირებდა. თვითმფრინავმა მთელ კუბას (სამხეთიდან ჩრდილოეთით) გადაუფრინა და სურათები გადაუღო. ფლორიდის ავიაბაზე დაშვებისთანავე ჰეიზერმა ფოტოები ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს გადასცა. ფოტოფირის გაშიფრვაში ამერიკელებს დაეხმარა მათ მიერ გადაბირებული საბჭოთა პოლკოვნიკი ოლეგ პენკოვსკი. 15 ოქტომბერს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ანალიტიკოსებმა დაადგინეს, რომ ფოტოებზე საბჭოთა ატომური ბალისტიკური რაკეტები იყო დაფიქსირებული, რომელთაც ვაშინგტონამდე მიღწევა შეეძლოთ. ამერიკა შოკში ჩავარდა. ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ, 16 ოქტომბერს, დილით

² Россия (СССР) в локальных войнах и вооруженных конфликтах второй половины XX века. М., 2000, გვ. 158.

³ Максименков Л. Ракетно-ядерное искушение. О белых пятнах Карибского кризиса. Ж. „Огонек“, 22 октября 2012. №. |www.Komersant.ru\ doc\ 2035510

⁴ ნანიტაშვილი ნ., ამერიკის შეერთებული შტატების 100 წლის ისტორია-XX საუკუნე. თბ., 2002, გვ. 368.

ფოტოსურათები პრეზიდენტ ჯ. კენედის აჩვენა პრეზიდენტის მრჩეველმა უშიშროების დარგში მაკჯორჯი ბანდმა. პრეზიდენტმა ამ საკითხთან დაკავშირებით შეკრიბა მრჩეველთა განსაკუთრებული ჯგუფი, რომელსაც მოგვიანებით სახელმწიფო უშიშროების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი (ExComm) ენოდა. სწორედ 16 ოქტომბერი ითვლება კუბის ბირთვული კრიზისის დაწყების თარიღად.

18 ოქტომბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი გრომიკო ნიუ-იორკიდან, გაეროს სესიიდან, ვაშინგტონში ჩავიდა და შეხვდა პრეზიდენტ ჯ. კენედის. არც ერთი მხარე არ ლაპარაკობდა „ბირთვული რაკეტების“ შესახებ. პრეზიდენტმა არც კი მიანიშნა, რომ მალე ტელევიზიით მიმართავდა ამერიკელ ხალხს საბჭოთა ბირთვული რაკეტების კუბაში განლაგების გამო. უცნობია, თუ რატომ მოიქცა ასე ამერიკის ლიდერი.

მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის აშშ-ის ბირთვული პოტენციალი რვაჯერ აღემატებოდა საბჭოთა კავშირისას, რადიკალური გადაწყვეტილების მიღებისაგან თეთრ სახლში თავი შეიკავეს და სამხედროების მხრიდან დიდი ზეროლის მიუხედავად, ჯ. კენედი დაეთანხმა თავდაცვის მინისტრის რობერტ მაკნამარას შეთავაზებას კუბის გარშემო სამხედრო-საზღვაო ბლოკადის შემოღების შესახებ, რომელსაც „კარანტინი“ უწოდეს. ის არა საზღვაო მიმოსვლის ბლოკადას, არამედ კუბისადმი იარაღის მიწოდებისათვის ხელის შეშლას გულისხმობდა.

6. ხრუშჩოვისადმი ჯ. კენედის 23 ოქტომბრის ნერილში აშშ-ის პრეზიდენტი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ამერიკული მხარე ვერ მოითმენდა რაიმე ქმედებას, რომელიც დაარღვევდა ძალთა თანაფარდობას მსოფლიოში. „მე არ დავუშვებ, რომ თქვენ ან რომელიმე სხვა საღად მოაზროვნე ადამიანმა გამიზნულად უბიძგოს ბირთვულ საუკუნეში მსოფლიოს ომისაკენ, რომელშიც, როგორც აბსოლუტურად ნათელია, არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია გაიმარჯვოს და რომელსაც შეუძლია მხოლოდ კატასტროფული შედეგები მოუტანოს მთელ კაცობრიობას, აგრესორის ჩათვლით“. ჯ. კენედიმ საბჭოთა ლიდერს კეთილგონიერებისა და ბლოკადის პირობების დაცვისაკენ მოუწოდა: „...თქვენ დაუყონებლივ გასცემთ აუცილებელ ინსტრუქციებს თქვენს ხომალდებს დაიცვან კარანტინის პირობები, რომელიც მიღებულ იქნა ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის კენჭისყრით დღეს, მეორე ნახევარში და რომელიც ძალაში შევა 24 ოქტომბერს 14.00 საათზე გრინვიჩის დროით“.⁵

6. ხრუშჩოვმა სკეპ ცკ პრეზიდიუმი მოიწვია კენედისათვის ოფიციალური პასუხის გასაცემად. 24 ოქტომბერს მან აშშ-ის ლიდერს ნერილი გაუგზავნა და ის ულტიმატუმის წაყენებაში დაადანაშაულა: „...თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, კარანტინს კი არ აცხადებთ, აყენებთ ულტიმატუმს და გვემუქრებით, რომ თუ ჩვენ არ დავემორჩილებით თქვენს მოთხოვნებს, თქვენ ძალას გამოიყენებთ. ... საბჭოთა მთავრობა თვლის, რომ საერთაშორისო წყლებისა და საპარო სივრცის გამოყენების თავისუფლების დარღვევა – ესაა აგრესის აქტი, რომელიც უბიძგებს კაცობრიობას მსოფლიო სარაკეტო-ბირთვული ომის მორევისაკენ. ...ჩვენ იძულებული ვიქნებით ჩვენი მხრიდან მივიღოთ ზომები, რომელსაც საჭიროდ ჩავთვლით იმისათვის, რომ ღირსეულად დავიცვათ ჩვენი უფლებები“.⁶

24 ოქტომბერს, 14.00 საათზე გრინვიჩის დროით, კარანტინი ძალაში შევიდა. ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების 183-მა ხომალდმა ალყა შემოარტყა კუბას მკაცრი მითითებით – პრეზიდენტის პირადი ბრძანების გარეშე ცეცხლი არ გაეხსნათ საბჭოთა ხომალდებისათვის. ამერიკელთა შემოწმების გარეშე ვერც ერთი ხომალდი ვერ შევიდოდა კუბაში.

⁵Ж. „Международная жизнь“. 1992, спец. выпуск, гг. 11-14.

⁶Ж. „Международная жизнь“. 1992, спец. выпуск, гг. 16.

ამერიკის მხარის ამ ქმედებებზე საბჭოთა ლიდერის პასუხი იყო: „კარგი. ჩვენ იქ უკვე გვაქვს ყველაფერი. მოვილაპარაკებთ. თუ თქვენ შეაჩერებთ (საბჭოთა) ხომალდებს და შემოხვალთ ჩვენს ტერიტორიაზე – ეს ომია“.⁷

ეს იყო საბჭოთა ლიდერის ავანტიურისტული ქმედება, რომელმაც თავისი გამომწვევი ქმედებებით მსოფლიო ბირთვულ-რაკეტული ომის ზღვარზე მიყვანა და არავინ არ იყო მის გარემოცვაში ისეთი, რომელიც შესძლებდა მის შეჩერებას.

1962 წლის 22 ოქტომბერს, 22 სთ-სა და 30 წთ.-ზე, კუბაზე განლაგებული საბჭოთა ჯარები, მოსკოვის ბრძანებით, გადაყვანილ იქნა სრულ საბრძოლო მზადყოფნაზე „კუბის შეიარაღებულ ძალებთან ერთად აშშ-ის მხრიდან შესაძლო აგრესის მოსაგერიებლად“.

ორივე მხარე მზად იყო სამხედრო მოქმედებებისათვის. ყველა პირველ გასროლას ელოდებოდა. „ჩვენ, რა თქმა უნდა, რეაგირებას გავაკეთებდით, – იხსენებდა აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი ტედ სორნსენი, – ჩვენი თვითმფრინავები აღჭურვილი იყო ბირთვული რაკეტებით. ისინი მზად იყვნენ კუბაზე თავდასასხმელად“.⁸

რა იქნებოდა შემდეგ. ტ. სორნსენის აზრით, საბჭოთა მხარე საპასუხო დარტყმით უპასუხებდა. შედეგად, კუბა განადგურდებოდა, ხოლო აშშ და საბჭოთა კავშირი უზარმაზარ მსხვერპლს მიიღებდნენ. „დაიწყებოდა ომი ნატოს და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს შორის. ევროპის თავზე საშინელი საფრთხე ჩამოეკიდა“.⁹

25 ოქტომბერს სკაპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ექსტრემალური სხდომის შემდეგ, ნ. ხრუშჩოვმა მოულოდნელად მიმართა დამსწრე პირებს: „ამხანაგებო, საღამოს წავიდეთ დიდ თეატრში, ჩვენი ხალხი და უცხოელებიც დაგვინახავენ და შესაძლოა, ამან დაამშვიდოს ისინი“.⁹

ასე ცინიკურად უყურებდა და ვერ აცნობიერებდა საბჭოთა ლიდერი მის მიერვე შექმნილ ურთულეს ვითარებას, რომელსაც, სრულიად შესაძლებელი იყო, სამყაროს განადგურება გამოეწვია!

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კარიბის კრიზისის პერიოდში აშშ და საბჭოთა კავშირი თავიანთი პოზიციების დასაფიქსირებლად აქტიურად და ეფექტურად იყენებდნენ არაოფიციალურ არხებს, მზვერავებს, უურნალისტებს, ხელისუფლების მაღალ ეშელონებთან დაახლოებულ პირებს თავიანთი წინადადებების გადასაცემად.

26 ოქტომბერს, ვაშინგტონის დროით 13 საათზე, ტელეკომპანია ABC News-ის რეპორტიორმა ჯონ სკალიმ აშშ-ის შესაბამის სამსახურებს აცნობა, რომ მას შეხვედრა სთხოვა სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის რეზიდენტმა ვაშინგტონში ალექსანდრე ფომინმა (ნამდვილი გვარი ფერელისოვი). შეხვედრა გაიმართა რესტორან „ოქსიდენტალში“, სადაც ფომინმა სკალის უთხრა, რომ სადაცაა ომი დაიწყება და შესთავაზა, რომ სკალის მიემართა მისი „მაღალი თანამდებობის მეგობრებისათვის სახელმწიფო დეპარტამენტში“ კრიზისის დიპლომატიური გზებით მოგვარების თაობაზე. ფომინმა რეპორტიორს გადასცა საბჭოთა ხელმძღვანელობის არაოფიციალური წინადადება – კუბიდან საბჭოთა რაკეტების გატანის თაობაზე აშშ-ის მხრიდან კუბაში შეჭრის განზრახვაზე უარის თქმის სანაცვლოდ.¹⁰

⁷ Корреспондент: Третья мировая. Как Карибский кризис едва не поставил точку в истории планеты Земля-архив. <http://korrespondent.net/world/1416946-Korrespondent-tretya-mirovaya-kak-karibskij-krizis-edva-ne-postavil-tochku-v-istorii-planety-zemlya>

⁸ Корреспондент: Третья мировая. Как Карибский кризис едва не поставил точку в истории планеты Земля-архив. <http://korrespondent.net/world/1416946-Korrespondent-tretya-mirovaya-kak-karibskij-krizis-edva-ne-postavil-tochku-v-istorii-planety-zemlya>

⁹ Корелин В. Карибский кризис 16-28 октября 1962 года. <http://www.lki.ru/text.php?id=5761>

¹⁰ კარიბის კრიზისი-13 დღე მსოფლიო აპოკალიპსის ზღვარზე. იხ. http://pag.ge/?m=show_text&id=518

ვაშინგტონისათვის საბჭოთა წინადადება მისაღები იყო, მაგრამ მათ ვერ მოასწრეს თავი-ანთი პასუხის ჩამოყალიბება, რომ საბჭოთა მხარემ 27 ოქტომბერს დამატებით მოითხოვა ამე-რიკული რაკეტების („იუპიტერი“) თურქეთიდან გატანა.

27 ოქტომბრისათვის მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის დაძაბულობამ პიკს მიაღწია. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანაშემნის ო. ტროიანოვსკის სიტყვებით, „ნერ-ვები განცვეტამდე იყო, ერთ ნაპერნკალს შეეძლო აფეთქების გამოწვევა“.¹¹ 1962 წლის 27 ოქ-ტომბერი – „შავი შაბათი“ – შეიძლება ჩაითვალოს დღედ, როცა მსოფლიო გლობალურ ბირ-თვულ ომთან ძალიან ახლოს იყო. ვითარება დროებით განიმუხტა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ აშშ-ის თავდაცვის მინისტრ რობერტ მაკნამარასაგან ვერ მიიღო დადებითი პა-სუხი კითხვაზე – განადგურდებოდა თუ არა მთლიანად საბჭოთა რაკეტები და სამხედრო-საჰა-ერო ძალა, რის გამოც კუბაზე საავიაციო დარტყმა გადაიფიქრა.

სამხედროების მოთხოვნაზე, დაუყონებლივ დაეწყოთ შეტევა კუბაზე, ამერიკის პრეზი-დენტმა შტაბების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის სხდომაზე უპასუხა: „მე პირველ ნა-ბიჯზე კი არ ვფიქრობ, არამედ იმაზე, რომ ორივე მხარე უახლოვდება მეოთხეს და მეხუთეს. ჩვენ არ გადავდგამთ მეექვსე ნაბიჯს იმიტომ, რომ დამსწრეთაგან არავინ ცოცხალი არ იქნე-ბა“.¹²

ამდენად, ამერიკის ლიდერმა უარი თქვა კუბის წინააღმდეგ დაუყონებლივ შეიარაღებულ შეტევაზე და დაიწყო კრიზისის პოლიტიკური დარეგულირების საშუალებებზე ფიქრი. იგრძნო რა, რომ აშშ ომის დაწყების პირისპირ იდგა, პრეზიდენტმა თავის ძმას, რობერტ კენედის, დაა-ვალა სასწრაფოდ შეხვედროდა საბჭოთა ელჩს ვაშინგტონში ა. დობრინინს. ეს შეხვედრა შედგა 1962 წლის 27 ოქტომბერს, გვიან ღამით. რობერტ კენედიმ საბჭოთა ელჩს უთხრა, რომ კუბაზე ამერიკული თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ, პრეზიდენტზე დიდი ზეწოლაა სამხედროე-ბის მხრიდან. შეიძლება ომი დაიწყოს. პრეზიდენტს კი სურს ომის აცილება. ის დარწმუნებუ-ლია საბჭოთა ლიდერის ასეთივე მისწრაფებაში. მან გააუღერა ამერიკული მხარის წინადადება, რომ საბჭოთა P-12-ის დემონტაჟის ნაცვლად განადგურდებოდა ამერიკული „იუპიტერი“ იტა-ლიასა და თურქეთში, ასევე „თორი“ დიდ ბრიტანეთში. ამასთან, რ. კენედიმ ხაზი გაუსვა, რომ თურქეთიდან ამერიკული ბირთვული რაკეტების გამოტანას დასჭირდებოდა 4-5 თვე. რობერ-ტმა მოითხოვა, ეს წინადადება დაუყონებლივ გადაეცათ საბჭოთა ლიდერისათვის და დაამატა: „პრეზიდენტი ვარაუდობს, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაური მას კარგად გაუგებს“. რ. კენე-დიმ ა. დობრინინს სთხოვა, რომ ეს შეხვედრა დარჩენილიყო კონფიდენციალურად. და მარ-თლაც, საბჭოთა ელჩმა რ. კენედისთან ამ შეხვედრის შესახებ მხოლოდ 1989 წლის იანვარში, კარიბის კრიზისისადმი მიძღვნილ მოსკოვის კონფერენციაზე განაცხადა.¹³

რობერტ კენედიმ ამის შესახებ აცნობა გ. ბოლშაკოვსაც (მთავარი სადაზვერვო სამმარ-თველოს ოპერატიული ოფიცერი, საბჭოთა საელჩოს მრჩეველი პრესის საკითხებში ვაშინ-გტონში, TACC-ის ბიუროს ხელმძღვანელი, შემდეგ უურნალ „საბჭოთა კავშირის“ რედაქტორის მოადგილე, აშშ-ში იმყოფებოდა 1959 წლიდან 1962 წლის დეკემბრამდე, კონტაქტობდა ჯ. კე-ნედის ძმასთან, რობერტთან) და ხაზი გაუსვა, რომ პრეზიდენტმა, გამოუცხადა რა კუბას ბლო-კადა, „თავისივე მოქმედების ტყვეობაში აღმოჩნდა“ და ის ვერც შეძლებს „სამხედროების შე-კავებას“ უახლოეს დღეებში თუ დადებითი პასუხი არ იქნება მოსკოვიდან.

¹¹ Феклисов А. За океаном и на острове. М., 1994, гв. 225.

¹² Большаков Г. ‘Как действовал секретный канал связи Джон Кеннеди-Никита Хрущев~ //Новое время. 1989, №5, гв. 39.

¹³ Allyn B.J., Blight J., Welch D. A. Back to the Brink: Proceedings of the Moscow Conference on the Cuban Missile Crisis. January 27-28, 1989. London, 1992.

პირდაპირი კავშირი შედგა ტელეტაიპით აშშ-ისა და სსრ კავშირის ლიდერებს შორის. პირველმა ჯ. კენედიმ მიმართა 6. ხრუშჩოვს: „ჩვენ შეგვიძლია თქვენ გაგანადგუროთ ექვსჯერ“. 6. ხრუშჩოვი ცოტა ხანს გაჩუმდა და უპასუხა: „ჩვენ კი შეგვიძლია თქვენ გაგანადგუროთ ერთხელ. თქვენთვის ეს ცოტაა?“ ჯ. კენედი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ კომპრომისი უნდა ეძებნათ, თუმცა სტრატეგიული ბირთვული ძალების რეალური თანაფარდობა 1962 წელს იყო თითქმის 20:1 აშშ-ის სასარგებლოდ.¹⁴

კრიზისის პერიოდში აშშ-ის სტრატეგიული დანიშნულების ძალები ფლობდნენ გაცილებით დიდ სიმძლავრეს და უფრო საიმედონი იყვნენ, ვიდრე საბჭოთა. ამერიკის მხარეს გააჩნდა 3,5 ათასი ერთეული ბირთვული იარაღი 6,3 ათასი მეგატონი სიმძლავრით, 1479 ბომბდამშენით და 182 ბალისტიკური რაკეტით.¹⁵

1962 წლის 28 ოქტომბერს საბჭოთა ლიდერი დათანხმდა ვაშინგტონის წინადადებას, რომ „შეტევითი რაკეტები გატანილი იქნება გაეროს თანდასწრებით, მის სანაცვლოდ ამერიკელები ვალდებულებას იღებდნენ არ დაესხან კუბას“.¹⁶ 6. ხრუშჩოვმა ამას დაამატა ერთი პირობა: არა მარტო კუბაზე, არამედ დასავლეთის ნახევარსფეროს ნებისმიერ სახელმწიფოზე. მანვე მოითხოვა ამერიკული რაკეტების თურქეთიდან გატანაც.

28 ოქტომბერს, საღამოს, მოსკოვში რადიოთი გადაიცა 6. ხრუშჩოვის მიმართვა ჯ. კენედისადმი, რასაც იმავე დღესვე მოჰყვა ამერიკის პრეზიდენტის პასუხი, რომლითაც ის მიესალმა საბჭოთა ლიდერის მიმართვას და უწოდა მას მნიშვნელოვანი წვლილი მშვიდობის საქმეში.

ამგვარად, საბჭოთა ლიდერმა მიიღო ამერიკის ლიდერის წინადადება და კაცობრიობა მესამე მსოფლიო ომს გადაურჩა, მაგრამ საბჭოთა მხარემ ეს კუბის ლიდერთან შეუთანხმებლად გადაწყვიტა.

1962 წლის 28 ოქტომბერი ითვლება კარიბის კრიზისის დასრულების თარიღად. საბოლოოდ, სანქციები კუბისადმი აშშ-მა 20 ნოემბერს შეწყვიტა, როდესაც ჯ. კენედიმ კუბის წინააღმდეგ საზღვაო კარანტინის გაუქმების ბრძანება გასცა.

ექვს თვეში აშშ-მა თურქეთიდან უკანასკნელი „იუპიტერი“ გაიტანა. შემდეგ კი ასეთივე რაკეტები იტალიიდანაც იქნა გატანილი. მათი შეიარაღებიდან მოხსნის ოფიციალურ მიზეზად აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა რობერტ მაკნამარამ ამ ტიპის რაკეტების „მორალური სიძველე“ გამოაცხადა.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო მოსამსახურეთა დანაკლისი ოპერაცია „ანადირის“ მომზადების განხორციელების და ოპერაციის შემდეგ (1962 წლის აგვისტოდან 1964 წლის 16 აგვისტომდე) შეადგენდა 64 კაცს. სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას დაიღუპა 42 კაცი, სტიქიური უბედურებისას (ურაგანი-„ფლორა“) – 5 კაცი, ზღვაში ცურვისას – 2 კაცი, ავადმყოფობისაგან – 7 კაცი, სხვა მიზეზებით – 8 კაცი. რუსეთის 57 მოქალაქე დასაფლავებულ იქნა ჰავანას ახლოს, ელ-ჩიკოში.¹⁷

ამერიკელი ეკონომისტების შეფასებით, კუბის სარაკეტო დაპირისპირებისას აშშ-ის ბიუჯეტიდან გამოიყო 165 მლნ დოლარი 1962 წლის კურსით, რაც 1,4 მლრდ დოლარია დღევანდები კურსით. საბჭოთა მხრიდან კი მონაცემები დღემდე უცნობია.¹⁸

¹⁴ Пономарев Г. Карибский кризис: `Анадирь~ против `Мангуста~. ix. http://gazeta.zn.ua/SOCIETY\karibskiy_krizis_Anadyr_protiv_mangusty.html

¹⁵ Иванов В. Кубинский ракетный кризис. `Независимое военное обозрение~. ix. http://nvo.ng.ru\wars\2012-10-26\12_Kuba.html

¹⁶ ნანიტაშვილი ნ., ამერიკის შეერთებული შტატების 100 წლის ისტორია-XX საუკუნე. თბ., 2002, გვ. 387.

¹⁷ იქვე, გვ. 348.

¹⁸ Гасюк А. В США опубликованы новые документы по Карибскому кризису. <http://interaffairs.ru\read.php?item=88>

1963 წლის 5 აგვისტოს საბჭოთა კავშირმა, აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა მოსკოვში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცესა და წყალქვეშ.

1969 წლის ნოემბერში სსრ კავშირმა და აშშ-მა დაიწყეს მოლაპარაკება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულების მომზადებაზე, რათა არ დაეშვათ კუბის სარაკეტო კრიზისის გამეორება. 1972 წელს ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს საბჭოთა და ამერიკის ლიდერებმა – ლ. ბრეუნევმა და რ. ნიქსონმა, რითაც ის შეუსაბამობა, რაც იყო კარიბის კრიზისის აპოგეისას (აშშ-ის სასარგებლოდ) შეიცვალა და მიღწეულ იქნა ისეთი მდგომარეობა, რომელსაც „პარიტეტი“ ეწოდა.

კარიბის კრიზისი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში, რადგან 1962 წლის ოქტომბერი სრულიად შესაძლებელი იყო ცივილიზაციის არსებობის უკანასკნელი წლის უკანასკნელი თვე ყოფილიყო. ამიტომაც არის უმნიშვნელოვანესი კუბის კრიზისის ყოველმხრივ გაანალიზება და ამ კრიზისის გაკვეთილების გათვალისწინება.

ამერიკელი პროფესორი გ. ალისონი კარიბის კრიზისის შესახებ წერდა: „ისტორიამ არ იცის სხვა პერიოდები, ანალოგიური 1962 წლის ოქტომბრის ცამეტი დღისა, როდესაც შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი დადგნენ ბირთვული გაქრობის პირას. არასოდეს ადრე არ არსებობდა ასეთი სავსებით შესაძლებელი ის, რომ სიცოცხლის დიდი რაოდენობა მოულოდნელად შეწყდებოდა. ომი რომ გაჩაღებულიყო, ეს იქნებოდა 100 მილიონი ამერიკელის დაღუპვის მომასწავებელი... და აგრეთვე მილიონობით ევროპელის. ამასთან შედარებით ბუნებრივი კატასტროფები და ადამიანთა მასობრივი მოსპობა ისტორიის ადრეული პერიოდებისა, უმნიშვნელო იქნებოდა“.¹⁹

ამ კრიზისმა აჩვენა, რომ დიალოგი ორ ზესახელმწიფოს შორის არა მხოლოდ აუცილებელი, არამედ შესაძლებელიც იყო. საბჭოთა კავშირშიც გაისმა ხმები პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას საზოგადოების როლის გაძლიერების აუცილებლობის თაობაზე. ამ მხრივ, აღსანიშნავია საბჭოთა ბირთვული იარაღის ერთ-ერთი შემქმნელი, აკადემიკოსი ა. სახაროვი. ჯენტლმენური შეთანხმება კუბაზე აშშ-ის თავდაუსხმელობის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ის არანაირი სამართლებრივი დოკუმენტით არაა გამაგრებული, დღემდე დაცულია.

კარიბის კრიზისმა შექმნა შესაძლებლობა ბირთვული იარაღის საფრთხის გაცნობიერებისა მთელი კაცობრიობისათვის. ის გაკვეთილი უნდა იყოს მაღალი ეშელონის ხელმძღვანელობისათვის, რათა მიიღონ რაციონალური საგარეო-პოლიტიკური გადაწყვეტილები.

კარიბის (კუბის) კრიზისმა აჩვენა კრიზისების მართვის კლასიკური მოდელი, რაც ბირთვულ ეპოქაში ერთ-ერთი ძირითადი გაკვეთილი უნდა იყოს, რაშიც განუსაზღვრელი იყო პირდაპირი კონფიდენციალური არხების არსებობა ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის; ხოლო კრიზისის მნიშვნელოვანი შედეგი იყო 1963 წლის „ცხელი ხაზი“ კრემლსა და თეთრ სახლს შორის.

კარიბის კრიზისის დასრულების შემდეგ ამ მოვლენას აშშ-სა და საბჭოთა კავშირში განსხვავებული შეფასება მიეცა. ორივე მხარემ გამარჯვებულად საკუთარი თავი გამოაცხადა და ორივეს ჰქონდა თავისი ლოგიკა. ისტორიკოსთა შორის ამ თემის გარშემო კამათი დღემდე არ წყდება.

ამერიკელი დიპლომატის პიერ სელინჯერის (პრეზიდენტ ჯ. კენედის, შემდეგ კი პრეზიდენტ ლ. ჯონსონის პრეზ-მდივანი) აზრით, სიტუაცია ვერ განვითარდებოდა სხვაგვარად. კენედიმაც და ხრუშჩივმაც იცოდნენ, რომ „...მსოფლიო ბირთვული კატასტროფის ზღვარზე დგას.

¹⁹ Аллисон Г. Концептуальные модели и кубинский ракетный кризис. №. grachev62. narod.ru\tmolchapt26.html

ეს კი არანაირად არ უნდა დაეშვათ. მე ვფიქრობ, რომ კარიბის კრიზისიდან გამოსვლა არ იყო აშშ-ის გამარჯვება ან სსრ კავშირის წარმატება. ეს იყო ჩვენი ლიდერების ტრიუმფი, რომლებმაც შესძლეს ერთობლივად გადაეჭრათ საგანგებოდ რთული სიტუაცია²⁰.

კრიზისის პერიოდში წარმოჩნდა, რომ ორი ზესახელმწიფოს ხელმძღვანელის – აშშ-ის პრეზიდენტისა და სსრ კავშირის ხელმძღვანელის – ხელში იყო კაცობრიობის ბედი. საკმარისი იყო ამ ორი პიროვნებიდან ერთ-ერთს არასწორი ნაბიჯი გადაედგა და ბირთვული ომი დაიწყებოდა. ცივილიზაციის ყოფნა-არყოფნის საკითხს ამ ორი ზესახელმწიფოს ხელმძღვანელი და-მოუკიდებლად წყვეტდა. კარიბის კრიზისმა დაადასტურა, რომ ბირთვულ ეპოქაში საერთაშორისო ურთიერთობებზე „შეჯიბრებითი“ მიდგომა საგანგაშოა, რომ წარმოშობილი კრიზისის ჩაქრობა გაცილებით ძნელია, ვიდრე მისი წარმოშობის აცილება.

კარიბის კრიზისზე პასუხისმგებლობა ორივე მხარეს ეკისრებოდა, რასაც ადასტურებს დოკუმენტთა ბაზა და პრობლემის ისტორიოგრაფია. იმდროინდელი ვითარებისა და კრიზისის წარმოშობის მიზეზების გააზრებამ ხელი უნდა შეუწყოს ბირთვული კონფლიქტის წარმოშობის რისკების შემცირებას ეფექტური ქმედებების უზრუნველყოფით.

კარიბის (კუბის) კრიზისი ისტორიის საკუთრება გახდა, მაგრამ ცივი ომის დროინდელი კონფრონტაცია დღესაც გავლენას ახდენს არა მხოლოდ აშშ-ის და რუსეთის ურთიერთობებზე, არამედ კაცობრიობის ბედზე.

სსრ კავშირი ყოველთვის განიხილავდა ბირთვულ იარაღს არა როგორც ხელისუფლების სიმბოლოს, არამედ როგორც ომის უკანასკნელ და უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს. ხაზგა-სასმელია, რომ რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობა ასეთი მიდგომით ხელმძღვანელობს დღესაც. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო შეიცვალა, გლობალური პრობლემების გადაწყვეტა ერთ ან ორ, თუნდაც უძლიერეს სახელმწიფოზე არაა დამოკიდებული, მოსკოვი თავისას არ იშლის, მისი აგრესიული ქმედებების დაუსჯელობის შედეგები სახეზეა. ამის თვალსაჩინო მა-გალითებია ჯერ საქართველოს (2008 წ.), შემდეგ კი უკრაინის (2014 წ.) ტერიტორიული მთლი-ანობის ხელყოფა. კრემლიდან ისევ გაისმის მუქარა თავისი იმპერიული ზრახვების განსახორციელებლად ბირთვული იარაღის გამოყენების თაობაზე.

კარიბის კრიზისის გაკვეთილები ყურადსალებია თანამედროვე ბირთვული პოლიტიკი-სათვის, რომელშიც ჩართულია აშშ, კერძოდ, ჩრდილოეთ კორეის და ირანის ბირთვულ პრობლემებში, სირიასა თუ, ზოგადად, ახლო აღმოსავლეთში. კარიბის კრიზისი იძლევა რეკომენდა-ციას, ამ პრობლემების გადაწყვეტისას გვერდი აუარონ უკიდურეს ვარიანტებს – არც უმოქმედობა, მაგრამ არც აჩქარება სამხედრო საშუალებებით დარტყმის განხორციელებისას.²¹

სსრ კავშირი დაიშალა, ცივი ომი დასრულდა, მაგრამ სახელმწიფოთა შორის უნდობლობა დარჩა. გაძლიერდა ტერორიზმი, გახშირდა სხვადასხვა ტიპის კონფლიქტი, რასაც ათასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე ეწირება. არავინ იცის, რითი შეიძლება დასრულდეს ესა თუ ის შეიარაღებული კონფლიქტი. მართალია, დღეს ბირთვული იარაღის გამოყენება აკრძალულია, მაგრამ კარიბის კრიზისის მსგავსი მოვლენების გამეორებისაგან არავინაა დაზღვეული. ცივილიზებული სამყაროს მცდელობა, შემოაბრუნოს რუსეთი დემოკრატიისაკენ, შეაჩეროს მისი აგრესიული ქმედებები, ჯერჯერობით შედეგს ვერ აღწევს. მსოფლიოში დაგროვილი უზარმაზარი ბირთვული არსენალი ყოველ წუთს მზად არის მოქმედებისათვის. ცივი ომის მენტალიტეტი ჯერ კიდევ ცოცხლობს, ბირთვული ომის საფრთხე არსებობს, რაც ისტორიის გაკვეთილებს კიდევ უფრო აქტუალურს ხდის.

²⁰ Рогов С. Советский Союз и США: поиск баланса интересов, М., 1989, гв. 3.

²¹ Allison G.T. The Cuban Missile Crisis at 50. Lessons for U.S Foreign Policy of Today\Foreign Affairs, July\August 2012.

DODO PERTAIA

**CARIBBEAN (CUBAN) 1962 CRISIS REGULATION AND
ITS HIST0RICAL LESSONS**

Summary

The paper focuses on the problem of Caribbean (Cuban) 1962 regulations and its historical lessons and discusses diplomatic aspects, making it possible peaceful resolution of the crisis and outlines its historical lessons and points out that, although the Soviet Union collapsed and the Cold War was over, but no one is safe from the repetition of similar events of the Caribbean crisis. The Cold War mentality is still alive and there is a threat of nuclear war. All these facts will turn history lessons more and more actual.



შავიშვილი ნინო, კაიშაური განანა

**გიდის პიროვნული როლი
ეფექტური ექსპურსიის ჩატარების დრო**

პიროვნების მიმართ მორალური მოთხოვნები არის ქცევების ზოგადი პრინციპების და ნორმების დაცვა, რომელიც შეესაბამება გარკვეულ იდეალებს.

პიროვნების ძირითადი თვისებებია: კეთილგონიერება – უნარი ჩაიდინოს გონივრული, აზრიანი ქმედებები; პასუხისმგებლობა – საკუთარი ქმედებების შედეგების მიხვედრა; პირადი ღირსება – ქცევა, რომელიც დაკავშირებულია საკუთარი უფლებების დაცვასთან; ინდივიდუალურობა – განუმეორებლობა, პიროვნების თავისებურება, თვისებების მთლიანობა, რომელიც განასხვავებს ამ ადამიანს სხვებისაგან.

აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია არის ადამიანის უნარი მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმიანობაში. ადამიანის ცხოვრებისეული პოზიცია გამოიხატება მისი ურთიერთობით საზოგადოებასთან, შრომაში, საჯარო და კერძო საკუთრებაში, სხვებისა და საკუთარი თავის მიმართ. ადამიანის ცხოვრებისეული პოზიციის აქტიურობის ხარისხის შეფასებისას განიხილება არა ერთი ფაქტი, არამედ ყველა შესაძლო სახის საქმიანობის ერთიანობა: საზოგადოებრივი, შრომითი, ზნეობრივი, იდეოლოგიურ-შემეცნებითი.

გიდი სასწავლო პროცესში მიზნად ისახავს პიროვნების შინაგანი სამყაროს დამკვიდრებას, თვისებების ფორმირებას, რომლებიც საფუძვლად უდევს აქტიური ცხოვრების პოზიციას: საკუთარი მოვალეობის ერთგულება, დაკისრებული საქმის მაღალი პასუხისმგებლობა, გუნდური მუშაობა, სიტყვის და საქმის ერთიანობა.

გიდს, თავისი პროფესიული თავისებურებებიდან გამომდინარე, წაყენებული აქვს მოთხოვნები, რომლებიც გამოხატავს მის აქტიურ პოზიციას. მისი ამოცანაა – სრულად გამოიყენოს ეს პირობები თავის ყოველდღიურ საქმიანობაში.

გიდისთვის, ისევე, როგორც პედაგოგისთვის, დამახასიათებელია 4 სახის უნარები: კონსტრუქციული, ორგანიზატორული, საკომუნიკაციო და ანალიტიკური.

კონსტრუქციული უნარები გამოიხატება საექსკურსიო მასალის სათანადოდ შერჩევასა და სწორად გაფორმებაში, წარადგინოს იგი გასაგებად და დამაჯერებლად, საჭიროების შემთხვევაში, კი, შეცვალოს ექსკურსიის ჩატარების გეგმა, მეთოდური წესის გამოყენების სქემა. ამ ტიპის უნარ-ჩვევები ქმნის გიდის გონიერების საქმიანობის საფუძველს.

ორგანიზატორული უნარები გამოიხატება საექსკურსიო ჯგუფის ხელმძღვანელობის განხორციელებაში – წარმართოს ტურისტების ყურადღება საჭირო ობიექტებზე, ასევე, უზრუნველყოს სხვა ქალაქებიდან და ქვეყნებიდან ჩამოსული ტურისტების და ექსკურსანტების პროგრამის შესრულება.

კომუნიკაციის უნარი გამოიხატება ჯგუფთან საქმიანი ურთიერთობების დამყარებაში გიდის ექსკურსანტებთან კომუნიკაციის მთელი პერიოდის განმავლობაში სწორად ააწყოს ურთიერთობები ავტობუსის მძღოლთან მარშრუტზე, მუზეუმის და გამოფენის თანამშრომლებთან, სადაც სტუმრობენ ტურისტები, ტურისტული ბიუროს მეთოდისტებთან, მეთოდური სექციის ხელმძღვანელთან, სხვა გიდებთან, ტურისტული ჯგუფების ხელმძღვანელებთან, მოგზაურობისა და ექსკურსიების ხელმძღვანელებთან.

ანალიტიკური უნარები საფუძვლად უდევს საკუთარი მუშაობის კრიტიკულ ანალიზს, ექსკურსის ჩატარების ხარისხის ობიექტურ შეფასებას, მეთოდური წესების გამოყენების ეფექტურობას. ყველა გიდი ერთნაირად არ ფლობს დასახელებულ უნარებს.

გიდის უნარების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასწავლო კურსები, მეთოდურ სექციებში მუშაობა, დამოუკიდებელი მეცადინეობა ობიექტების ახლოს. მნიშვნელოვანია ექსკურსის ჩატარების მეთოდიკის და ტექნიკის სიღრმისეულად ათვისება.

გიდის ტენდენციურობა. გიდის, როგორც პიროვნების არსებით თვისებას წარმოადგენს თავდაჯერებულობა. ექსკურსის ჩატარების დროს, თემის წარდგენისას, გიდმა უნდა გამოავლინოს ტენდენციურობა: მკაფიოდ და მიზანმიმართულად ჩამოაყალიბოს აზრი, სწორად, მეცნიერულად გამოავლინოს ფაქტები და მოვლენები, მათი ინტერპრეტაცია. გიდის ტენდენციურობა არის მკაფიოდ გამოკვეთილი მიმართულებები თავის ხედვასა და ქმედებებში. გიდი ცდილობს თავისი შეხედულებები და მოსაზრებები მიაწოდოს ტურისტებს და დაარწმუნოს სიზუსტესა და სიმართლეში. იგი ეხმარება ტურისტებს დაინახონ ის, რასაც ხედავს თვითონ, დაუინებით მიმართოს მათი ყურადღება იმ მოვლენების მხარეს, რომელიც უნდა აისახოს მათ გონებაში. ამაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს გიდის თავდაჯერებულობა, რომელიც ეფუძნება ცოდნას, იდეებსა და აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციას.

გიდის ტემპერამენტის როლი ექსკურსიების ჩატარებაში. ჩატარებული ექსკურსიების ხასიათი და მისი თავისებურებები დამოკიდებულია გიდის ტემპერამენტზე, რომელიც გამოიხატება მის ქცევაში და ხასიათდება, მეტ-ნაკლებად, გრძნობებში, განცდების ხანგრძლივობაში, ემოციების სტაბილურ ან სწრაფ ცვლილებაში. ადამიანის ტემპერამენტის ტიპის მიხედვით მისი ქცევა ხასიათდება გარკვეულ სიღრმისეულ ემოციებზე დაყრდნობით და რიგ გამაღიზიანებლებზე განსხვავებული რეაგირებით.

ტემპერამენტის გამოვლინება არის ადამიანის ზოგადი კულტურის შედეგი, რომლის ქცევა უნდა დაექვემდებაროს მის ნებას და დამოკიდებულია უნარზე მართოს საკუთარი ემოციები. ეს მნიშვნელოვანია ტურისტებთან ურთიერთობაში ექსკურსიის ჩატარების დროს. გიდის ემოციებმა, წარმოქმნილმა შიდა და გარე გამაღიზიანებლების ზემოქმედებით, არ უნდა მოახდინოს გავლენა ექსკურსიის მსვლელობაზე.

გიდის ემოციები და გრძნობები უნდა ატარებდეს ობიექტურ ხასიათს. გიდი ცდილობს, რომ ტურისტების ემოციები გახდეს ერთგვარი თანაგრძნობა, პირადი მონაწილეობა ღონისძიებებში, რომლებიც ნაჩვენებია და ხასიათდება თემის გახსნის პროცესში.

საექსკურსიო მასალის უმაღლესი დონის აღქმა მიიღწევა იმ შემთხვევებში, როდესაც ტურისტებს საერთო ემოციები აქვთ. ხშირად, გიდი აღმოაჩენს, რომ სხვადასხვა მენტალობის მქონე ტურისტების ჯგუფში ექსკურსიის ყველა მონაწილეს არ ექნება ერთნაირი რეაქცია ერთი და იგივე ინფორმაციაზე. ეს ხდება იმიტომ, რომ წარმოშობილი ემოციები დამოკიდებულია ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებებზე, როგორიცაა ტემპერამენტი, მათი განწყობა, თემისადმი ინტერესი, მოტივები.

განსახილველი თემის დამოკიდებულებაში გიდმა უნდა გაითვალისწინოს ხალხის ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების დონე და მათი ესთეტიკური განვითარება. ექსკურსანტების ემოციებს ზიანს აყენებს გადაჭარბებული მასალის ახსნა და, ასევე, მათი გამარტივების მცდელობა. თავისი მსმენელების გონებრივი საქმიანობის გამარტივებისას გიდი კარგავს მათთან კონტაქტს.

გიდი არ შეიძლება იყოს შემწინარებელი თავის თავთან, თავის სამუშაოსთან, ხალხთან ურთიერთობებში, საკუთარ და მათ ქცევებში. მან არ უნდა აპატიოს თავს ექსკურსიის ცუდად ჩატარება, ნებისმიერი გადახრები მეთოდიკის მოთხოვნებიდან. გიდი მუდმივად აკონტროლებს თავს, თავის ქმედებებს. მაგალითად, ტურის ჩატარების დროს, იგი უსვამს კითხვებს საკუთარ

თავს: „მე ამას ასე სწორად ვაკეთებ? კარგად ვაჩვენებ ობიექტს? საკმარისად დამაჯერებლად ვუყვები მის შესახებ?“ ექსკურსის დასრულების შემდეგ და ჯგუფთან განშორებისას, იგი ეკითხება საკუთარ თავს: „გამოვიდა კარგად? ექსკურსის მიმართ ყველა მოთხოვნა იყო დაცული?“

გიდს უნდა გააჩნდეს თვითკონტროლის მექანიზმები. თვითკონტროლი, როგორც პიროვნების საქმიანობის შიდა მხარე, აერთიანებს ისეთ სტადიებს მის ქმედებებში, როგორიცაა თვითანალიზი, თვითკრიტიკა და თვითშეზღუდვა საქციელში. თვითკონტროლის დონე, მდგრადობა და მისი მოქმედების შედეგიანობა დამოკიდებულია პიროვნების ისეთი თვისებების განვითარებაზე, როგორიცაა მსოფლმხედველობა, იდეოლოგიური რწმენა, ცნობიერება და კულტურა.

გიდის მიერ შედეგების მიღწევის თვითშეფასება წარმოადგენს თავისი საქმიანობისა და თვით სამუშაო პროცესის შედარებას გარკვეული წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია ინსტრუქციებით, დებულებებით, მეთოდური სამუშაოებით და სხვა საკანონმდებლო დოკუმენტებით.

გიდის პიროვნების სრულყოფა და ფორმირება მიმდინარეობს პროფესიის შექმნის მთელ გზაზე. პიროვნების ჩამოყალიბების პროცესი იწყება მანამდე, სანამ გიდი მოეწყობა სამუშაოდ ტურისტულ ფირმაში, მუზეუმში, გამოფენაზე.

გიდის პიროვნების სავალდებულო თვისებას წარმოადგენს ოპტიმიზმი, კარგი განწყობა, გამპედაობა, სურვილი და უნარი დაინახოს გარემოში კარგი, ნათელი მხარეები. გიდის ოპტიმიზმი გამოიხატება კეთილგანწყობაში, თავაზიანობასა და ლამაზ ლიმილში, ყურადღებაში ხალხის მიმართ, უნარში შექმნას სასურველი მიკროკლიმატი ექსკურსანტების კოლექტივში, თავისი ყოფნით შეიტანოს სადღესასწაულო სულისკვეთება აუდიტორიაში, გამოასწოროს მსმენელებში ცუდი გუნება-განწყობა. ამას, მეტნილად, ხელს უწყობს თხრობის ჟღერადობა, თვითდაჯერება საკუთარ ცოდნაში, იუმორის გრძნობის ქონა, ექსკურსიის წარმატებით ჩატარების რწმენა.

ყველა გიდი ინდივიდუალურია და პიროვნულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მარშრუტზე გიდის მიერ ამბის მოყოლის მოსმენისას შეიძლება მოგვეჩენოს, რომ იგი თავისებურად აყალიბებს ამა თუ იმ დეტალებს, მაგალითებს, იყენებს სხვადასხვა გამონათქვამებს, შეაქვს გარკვეული სპეციფიკა უესტების და ლიმილის გამოყენებაში. შესაძლოა სხვა განსხვავებებიც. ერთ გიდს უყვარს მემუარებთან შეხება, მეორე – კითხულობს ლექსებს ექსკურსიაზე, მესამე – კითხულობს დოკუმენტებს, მეოთხე – ოსტატურად იყენებს პაუზებს. გიდებს, რომელთაც აქვთ მუშაობის დიდი გამოცდილება, გამოუმუშავდებათ ექსკურსიის ჩატარების საკუთარი ინდივიდუალური სტილი. ეს მდგომარეობს იმაში, რომ თითოეულ მათგანს აქვს თავისი საყვარელი მეთოდი, რომელსაც სრულყოფილად ფლობს და სიამოვნებით იყენებს მათ როგორც ცალკე, ასევე, კომბინაციაში სხვა მეთოდებთან.

გიდის ავტორიტეტი ეფუძნება ცოდნას, უნარ-ჩვევებს, მორალურ ღირსებებს, პრაქტიკულ გამოცდილებას. იგი წარმოადგენს რამდენიმე მხარის კომბინაციას:

1. გიდი წარმოადგენს ექსკურსიის ხელმძღვანელს, მეთაურობს ექსკურსანტების ჯგუფს და ზედამხედველობას უნევს მათ საქმიანობას;

2. გიდმა იცის ექსკურსიის თემა უფრო ღრმად, ვიდრე მისმა ნებისმიერმა წევრმა. ეს აძლიერებს მის სანდოობას;

3. ავტორიტეტული გიდის უნარ-ჩვევები და გამოცდილება ქმნის მეტ სანდოობას ექსკურსიის ჩატარების დროს;

4. გიდის უფლებამოსილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საყრდენია მეტყველების კულტურა, რაც, ასევე, აქტუალურია გიდის ავტორიტეტის შექმნაში.

ლიტერატურა:

1. კვარაცხელია ნ., საექსკურსიო საქმე, სახელმძღვანელო, თბ., 2015.
2. კვარაცხელია ნ., კულტურული ტურიზმი, თეორია და პრაქტიკა, 2009.
3. Омельченко Б.Ф. Дифференцированный подход к обслуживанию различных групп туристов и экскурсантов. М. ЦРИБ «Турист», 1987.

SHAVISHVILI NINO, KAISHAURI MANANA

THE GUIDE'S PERSONAL ROLE DURING EFFECTIVE EXCURSION

SUMMARY

The paper deals with the issues related to a guide as the personality who has an important place in the course of an excursion. It is especially important because the guide is not considered as a person having creative, initiative, professional and combined skills in the activities of some expeditions.

In the paper the formation of guide's personality, its active lifestyle position and skills are evaluated. It represents not only the preparation level of professional guide and the ability of influence his skills on tourists' emotions and feelings, but also the manifestation of guide's individuality and authority.



პაიშაური მანანა, შავიშვილი ნინო

ბორჯომ-გაკურიანის ჯგუფის კურორტის კურორტები და მათი განვითარების პერსპექტივები

ბორჯომ-გაკურიანის ჯგუფის კურორტები საქართველოს საკურორტო-რეკრეაციული რაიონებიდან ერთ-ერთია, რომლებსაც მდიდარი კლიმატურ-ბალნეოლოგიური რესურსული პოტენციალი და განვითარების დიდი პერსპექტივები გააჩნია. აქ აღრიცხულ მრავალ კურორტსა და საკურორტო ადგილს შორის უმეტესობა კლიმატური პროფილისაა.

ამის გარდა, რაიონში თავმოყრილია როგორც კლიმატური და ბალნეოლოგიური, ისე კომპლექსური პროფილის საკურორტო ადგილები. კლიმატური კურორტების სამკურნალო საშუალებას შეადგენს მათი ჰავის განსაკუთრებული თვისებები, რომლებიც ადგილმდებარეობაზეა დამოკიდებული **(1)**.

ბორჯომ-გაკურიანის საკურორტო-რეკრეაციული რაიონი თრიალეთის მთიანი მასივის შემადგენელი ნაწილია და მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, გამოირჩევა მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებით, ლანდშაფტებით, კლიმატური, ჰიდროლოგიური და საკურორტო-რეკრეაციული რესურსების უდიდესი მარაგით და მნიშვნელოვანი პოტენციალით, რაც რეგიონის მომავალი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა ჩაითვალოს და დადებით ზეგავლენას ახდენს, როგორც მხარის საკურორტო ტურისტულ განვითარებაზე, ისე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე **(5)**.

ბორჯომ-გაკურიანის საკურორტო-რეკრეაციული რაიონის კურორტები და საკურორტო ადგილები განლაგებულია ზღვის დონიდან 790-2000 მ სიმაღლის ფარგლებში. ისინი მიეკუთვნება დაბალი მთის (500-1000 მ), საშუალო მთის ქვედა სარტყელის (1000-1500 მ) და საშუალო მთის ზედა სარტყელის (1500-2000 მ) საკურორტო ზონებს.

დაბალი მთის ზომიერად მშრალი ქვეზონის საკურორტო რესურსების რაიონებია – კურორტები: ახალდაბა, ბორჯომი, ჩითახევი და საკურორტო ადგილები: დაბა, სადგერი, დვირი. ზონისათვის დამახასიათებელია ზომიერად მშრალი ჰავა, რბილი მცირეთოვლიანი ზამთრით და ზომიერად მშრალი ზაფხულით. კლიმატოთერაპიული მნიშვნელობა აქვს იმ ადგილებს, სადაც მდიდარი ფოთლოვანი და წინვოვანი მცენარეულობაა.

საშუალო მთის საკურორტო ზონის ქვედა სარტყელის კურორტებია: წალვერი, ცემი, ტბა, ლიბანი, პატარა ცემი და საკურორტო ადგილები: მზეთამზე, ტიმოთესუბანი, მიტარბი, მაჭარწყალი, ვარდევანი, ნეძვი. ზონისათვის დამახასიათებელია ზომიერად ცივი თოვლიანი ზამთარი და ზომიერად თბილი, ზომიერად მშრალი ზაფხული. საკურორტო ზონის ჰავა ხასიათდება მაღალი თერაპიული თვისებებით და მისი გამოყენება პერსპექტივულია, ძირითადად, სასუნთქი ორგანოებით დაავადებულთა სამკურნალოდ.

საშუალო მთის საკურორტო ზონის ზედა სარტყელში შედის კურორტები: ბაკურიანი და ციხისჯვარი, საკურორტო ადგილი – წინუბანი. ზონისათვის დამახასიათებელია ზომიერად ცივი ზამთარი, მდგრადი თოვლის საფარი და ზომიერად გრილი, ზომიერად მშრალი ზაფხული. საკურორტო ზონის ჰავა ნაჩვენებია სასუნთქი ორგანოებით დაავადებულთა სამკურნალოდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არის გამოკვეთილი სისხლის მიმოქცევის უკმარისობა **(2)**.

ბორჯომის რაიონი მდიდარია მიწისქვეშა წყლებით, რომელთაგან სახალხო მეურნეობაში, ყველაზე მეტად, მიწერალური წყაროებია გამოყენებული. აქ, აღრიცხული და ათვისებულია რამდენიმე უმსხვილესი და თავისი სამკურნალო თვისებებით გამორჩეული მინერალური წყლების საბადოები, რომელთა ბაზაზე შექმნილია და ფუნქციონირებს მთელი რიგი სამთო-

კლიმატური და კლიმატურ-ბალნეოლოგიური ბორჯომის კურორტთა ჯგუფი. გარდა ამისა, რაიონში ცნობილია მრავალი ბუნებრივი მინერალური წყლის წყაროები, რომლებიც შესწავლა-ათვისებას ექვემდებარება.

ბორჯომ-ბაკურიანის ჯგუფის რაიონში განლაგებულია სამკურნალო თვისებებით ცნობილი მრავალი კურორტი და საკურორტო ადგილი, მათ შორის:

ბორჯომი – საერთაშორისო მნიშვნელობის ბალნეოლოგიური და კლიმატური კურორტი მდებარეობს მესხეთისა და თრიალეთის ქედების მუდმივ მწვანე ფერდობებს შორის, მდ.მტკვრისა და მისი შენაკადების – ბორჯომულასა და გუჯარეთის წყლის ხეობაში, ზღვის დონიდან 800-1000 მ სიმაღლეზე. მცენარეულობა შედგება, უმეტესად, წიწვოვანი (ნაძვი, ფიჭვი, სოჭი) და ფოთლოვანი (მუხა, წიფელი, რცხილა, არყის ხე) ტყეებისაგან. რელიეფი მთაგორიანია.

კლიმატის თავისებურება განპირობებულია კურორტის განლაგებით სუბტროპიკული ზონის დაბალმდინარენი ტყის ზონაში. ზაფხული თბილია, სჭარბობს მზიანი დღეები. ზამთარი ზომიერად ცივია, მცირეთოვლიანი, მზის ნათება პლატოზე 1900 საათია წელიწადში. სჭარბობს მთასეობის სუსტი ქარები, რომლებიც უზრუნველყოფენ კურორტის ტერიტორიის კარგ ვენტილაციას.

მდინარე ბორჯომულას ხეობაში გაშენებულ პარკში მრავალი მინერალური წყაროა. ზღვის დონიდან 1000 მ სიმაღლეზე ასწლოვანი ფიჭვით დაფარულ პლატოზე პარკია გაშენებული.

ბორჯომის წამყვანი ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებია როგორც სასარგებლო კლიმატი, ასევე მისი საყოველთაოდ ცნობილი სამკურნალო მინერალური წყლები, რომლებიც ქიმიური შემადგენლობით მიეკუთვნება ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატულ, ნატრიუმიან წყლებს, საერთო მინერალიზაციით 5,0-7,5 გ/დმ³ და ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიანი, ბორიანი (და კაუმჟავა-ბორიანი) მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 5,6-6,4 გ/დმ³, რომელიც შეიცავს თავისუფალ ნახშირმჟავას 0,5-დან 1,0-1,5 გ/ლ. მათში შედის, აგრეთვე, ქლორის იონები, ცოტა რაოდენობით ბრომი, ლითიუმი, ბარიუმი და ზოგი სხვა ნივთიერება. მინერალური წყლის ტემპერატურა სხვადასხვა წყაროებში მერყეობს 17-38°C.

ბორჯომის წყალს ხმარობენ სასმელად და აბაზანების სახით.

ბორჯომის მინერალური წყლის სამკურნალო თვისებების გამო მას იყენებენ, ძირითადად, კუჭ-ნაწლავის, გულის, თირკმელების, სასუნთქი ორგანოების, ნერვული სისტემის დაავადებათა სამკურნალოდ. ბორჯომის ტუტე-ნახშირმჟავა წყალს კუჭ-ნაწლავის, ლვიძლის, ნივთიერებათა ცვლის დაავადებათა სამკურნალოდ იყენებენ, აგრეთვე სააბაზანო პროცედურებისთვის, ინჰალაციის, კუჭისა და ნაწლავების გამოსარეცხად, დასალევად – როგორც სამკურნალო სუფრის წყალი.

მინერალური წყლისათვის ბოთლებს ამზადებენ იქვე მდებარე მინის ქარხანაში.

მკურნალობის სახეობები: პასიური კლიმატოთერაპია, მინერალური წყლის მიღება (დალევა), მინერალური წყლის აბაზანები, გამორეცხვები და ინჰალაციები (3).

ბაკურიანი – კურორტი, ქალაქის ტიპის დაბა მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, ზ.დ. 1700-2000 მ სიმაღლეზე. კურორტის ტერიტორია და მისი მიდამოები მდიდარია მცენარეულობით: მუქწიწვოვანი ჯიშების ტყის მასივებით (ნაძვი, სოჭი), ტყეების საზღვრების ზემოთ იწყება ალპური მდელოები. რელიეფი მთაგორიანია.

კურორტის კლიმატის თავისებურება განპირობებულია მისი განლაგებით სუბტროპიკულ ზონაში მთის, შედარებით, მაღალ სიმაღლეზე (საშუალო მთის ზედა სარტყელი). გაზაფხული აქ მოკლეა. შემოდგომაზე უფრო გრილა და ამინდიც არამდგრადია. ზამთარი ცივია. თოვლი დევს 4-5 თვის განმავლობაში. ზაფხული ზომიერად გრილია. დამახასიათებელია მზიანი დღეე-

ბი დიდი რაოდენობით და ზომიერად ყინვიანი დღეების სიჭარბე. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში 2000 საათს აღემატება. საკმაოდ მაღალია ულტრაიისფერი რადიაციის ინტენსივობა. ფლორა – მუქწიწვოვანი ჯიშების (ნაძვი, სოჭი) ტყის მასივები, ალპური მდელოები.

მთის მშრალი ჰაერი, გაუღენთილი წინვიანი ტყეების არომატით, მზის რადიაციის სიუხვე და სხვ. ქმნის ხელსაყრელ პირობებს სუნთქვის ორგანოთა ქრონიული არატუბერკულოზური ხასიათის, მათ შორის ბრონქული ასთმით დაავადებულთა სამკურნალოდ. კურორტის თავისებური კლიმატი გამოიყენება, აგრეთვე, გამაჯანსაღებელი და პროფილაქტიკური ღონისძიების ჩასატარებლად, განსაკუთრებით, ბავშვთა შორის.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი – საშუალო მთის ზედა სარტყლის ჰავა. მკურნალობის სახეობები: პასიური და აქტიური (ჰაერისა და მზის აბაზანები) კლიმატოთერაპია.

წალვერი – კურორტი ბორჯომის რაიონში, განლაგებულია თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, მდ.გუჯარეთისწყლის ხეობაში, ზ.დ. 1020-1050მ სიმაღლეზე. კურორტის ირგვლივ მდებარე მთების ფერდობები დაფარულია, ძირითადად, წინვოვანი ტყეებით (ნაძვი, სოჭი, ფიჭვი). რელიეფი – მთაგორიანი.

კლიმატი – შუამთის ტიპის. ზამთარი ცივი, საკმაოდ თოვლიანი. ზაფხული ზომიერად თბილი და მშრალია. ჰაერი სუფთა და გამჭირვალეა, გაუღენთილია წინვის არომატით. ფლორა – წინვოვანი (ნაძვი, სოჭი, ფიჭვი) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა და ნახშირმუვა, ჰიდროკარბონატული, მაგნიუმიან-კალციუმიან-ნატრიუმიანი მინერალური წყლები, რკინის შემცველობით 45 მგ/დმ³, საერთო მინერალიზაციით 3-5 გ/დმ³. მათ იყენებენ სამკურნალოდ დასალევად.

შუამთის ტიპის კლიმატი და მინერალური წყლები დადებითად მოქმედებს ისეთ დაავადებზე, როგორიცაა სასუნთქ თრგანოთა არატუბერკულოზური წარმოშობის დაავადებები, კუჭ-ნაწლავის სნეულებანი და სისხლნაკლებობის ზოგიერთი ფორმები.

წალვერი ბავშვთა პოპულარული კურორტია.

მკურნალობის სახეობები: პასიური და აქტიური კლიმატოთერაპია (ჰაერისა და მზის აბაზანები, სეირნობა, ტერენკური), მინერალური წყლის მიღება (დალევა).

მზეთამზე – საკურორტო ადგილია ბორჯომის რაიონში, მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, ზღვის დონიდან 1200 მ სიმაღლეზე. რელიეფი – მთაგორიანი.

კლიმატი-საშუალო მთის ქვედა სარტყელი. ზამთარი ცივია და თოვლიანი. ზაფხული ზომიერად მშრალი და ზომიერად თბილი. ჰაერი სუფთაა და გამჭირვალე. მცენარეულობა წარმოდგენილია წინვოვანი ტყეებით. ფლორა – წინვოვანი (ნაძვი, ფიჭვი) ტყეები.

მთის კლიმატი კურორტის ძირითადი სამკურნალო ბუნებრივი რესურსია. ის გამოიყენება სუნთქვის თრგანოთა დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, განსაკუთრებით, ბავშვთა ასაკში.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი – საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა. მკურნალობის სახეობა – პასიური კლიმატოთერაპია.

ცემი – კურორტი მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, სადგერის პლატოზე, ზ.დ. 1120 მ სიმაღლეზე. რელიეფი მთაგორიანია. მთის ფერდობები, რომლებიც ეკვრის კურორტის ტერიტორიას, უმთავრესად, დაფარულია წინვოვანი ტყეებით (ნაძვი, ფიჭვი, სოჭი).

კლიმატი – საშუალო მთის (ქვედა სარტყელი), ხასიათდება ცივი, საკმაოდ თოვლიანი ზამთრით და ზომიერად თბილი, მშრალი ზაფხულით.

ჰაერის განსაკუთრებული სისუფთავისა და გამჭირვალობის წყალობით საკმაოდ მაღალია ულტრაიისფერი რადიაცია. კურორტის რაიონში გაბატონებული ზომიერი მთა-ხეობის ქარები უზრუნველყოფს კურორტის ბუნებრივ ვენტილაციას.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი – საშუალო მთის ქვედა სარტყელის ჰავა.

შუამთის ტიპის კლიმატი ძირითადი ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორია. აქ მკურნალობენ ავადმყოფებს სასუნთქი ორგანოების დაავადებებით, მათ შორის ფილტვების ტუბერკულოზის მცირე ფორმებსაც.

ცემი ცნობილია **ასთმით დაავადებული ბავშვების** სამკურნალო-რეაბილიტაციის კურორტად.

მკურნალობის სახეობა – პასიური კლიმატოთერაპია.

ლიბანი – კურორტი მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, ზღვის დონიდან 1370 მ სიმაღლეზე. პლატო დაფარულია წინვოვანი ტყეებით.

კლიმატი ხასიათდება საშუალო მთის ქვედა სარტყელით. ზამთარი ცივი და თოვლიანია. ზაფხული ზომიერად თბილია. ფლორა წარმოდგენილია წინვოვანი (ნაძვი, ფიჭვი, სოჭი) ტყეებით.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ქვედა სარტყელის ჰავა და ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული, კალციუმიან-ნატრიუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 3,5-4,5 გ/დმ³, კაჟმჟავას (150 მგ/დმ³) და მცირე რაოდენობით დარიშვანის, ფოსფორის შემცველობით.

ლიბანის კლიმატი გამოიყენება სუნთქვის ორგანოთა დაავადებების მკურნალობისთვის, იგი ტუბერკულიოზით დაავადებულთა სამკურნალო კურორტია, და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნის შემთხვევაში განვითარების დიდი პერსპექტივები გააჩნია.

მკურნალობის სახეობები: პასიური კლიმატოთერაპია და მინერალური წყლის მიღება (დალევა).

მიტარბი – საკურორტო ადგილი მდებარეობს ბორჯომის ხეობაში, მდ. მიტარბულას სანაპიროზე, მოიცავს ორ სოფელს (დიდი და პატარა მიტარბი). დიდი მიტარბის სიმაღლეა ზღვის დონიდან 1480 მ, პატარა მიტარბის სიმაღლე – 1300 მ. ბორჯომიდან მიტარბი დაშორებულია 25 კმ-ით. მთაგორიანი რელიეფია.

კლიმატი ხასიათდება საშუალო მთის ქვედა სარტყელით, გარდამავალი კონტინენტურ-სუბტროპიკულიდან ზღვის სუბტროპიკულზე. ორივე სოფელში ზამთარი ცივი უხვთოვლიანია და აღინიშნება მდგრადი თოვლის საფარი. ზაფხული ზომიერად გრილი და მშრალია. ფლორა წარმოდგენილია შერეული წინვოვან-ფოთლოვანი (ნაძვი, სოჭი, ნიფელი და სხვ.) ტყეებით.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებია: საშუალო მთის ქვედა სარტყელის ჰავა და ნახშირმჟავა, კალციუმიან-ნატრიუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 3,8-4,2 გ/დმ³.

მიტარბს განახლების და განვითარების მხრივ, **დიდი პერსპექტივები** გააჩნია. მინერალური წყლის ხარჯზე მას აქვთ დიდი რესურსული პოტენციალი მომავალში შეინახოს საკუთარი თავი და ისევ მნიშვნელოვან კურორტად იქცეს. სამკურნალო და სუფრის მინერალური წყალი „**მიტარბი**“ ქრონიკული გასტრიტის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, ქრონიკული კოლიტისა და ენტეროკოლიტის, ჰეპატიტების და ლვიძლის ფუნქციის გადახრების უებარი წამალი და ამ დაავადებათა პრევენციის კარგი საშუალებაა.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია.

სამკურნალო ჩვენებები: საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები, მათ შორის ქრონიკული გასტრიტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, კოლიტი და ენტეროკოლიტი.

ტიმოთესუბანი – საკურორტო ადგილი მდებარეობს მდ. გუჯარეთისწყლის ხეობაში, ზღვის დონიდან 1100 მ სიმაღლეზე. რელიეფი მთაგორიანია.

კლიმატი ხასიათდება საშუალო მთის ქვედა სარტყელით. ზამთარი ცივია და თოვლიანი. ზაფხული ზომიერად მშრალი და ზომიერად თბილია. მცენარეულობა წარმოდგენილია წიწვოვანი (ფიჭვი, ნაძვი) ტყეებით.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებია – საშუალო მთის ქვედა სარტყელის ჰავა და ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული, ნატრიუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით $5,0-7,5$ გ/დმ³.

მკურნალობის სახეობებია – პასიური კლიმატოთერაპია და მინერალური წყლის მიღება (დალევა).

წინუბანი – საკურორტო ადგილი მდებარეობს მდ. გუჯარეთისწყლის ხეობაში, ზღვის დონიდან 1520-1550 მ სიმაღლეზე. რელიეფი გაშლილია.

კლიმატი ხასიათდება საშუალო მთის ზედა სარტყელით. ზამთარი ცივი, მდგრადი თოვლის საფარით. ზაფხული გრილია. ფლორა წარმოდგენილია: სამხრეთ კალთებზე წიწვოვანი (ფიჭვი, ნაძვი) ტყეებით, ჩრდილოეთით – იალაღები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებია – საშუალო მთის ზედა სარტყელის ჰავა და ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატული, კალციუმიან-ნატრიუმიან-მაგნიუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით $3,2$ გ/დმ³ და ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული, ნატრიუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით $10,9$ გ/დმ³.

მკურნალობის სახეობებია – პასიური კლიმატოთერაპია, მინერალური წყლის მიღება (დალევა).

ცხრ.1-ში მოცემულია ბორჯომ-ბაკურიანის საკურორტო-რეკრეაციული რაიონის კურორტების და საკურორტო ადგილების მინერალური და თერმული წყლების კლასიფიკაცია სამკურნალო თვისებების მიხედვით.

ცხრ.1. ბორჯომ-ბაკურიანის ჯგუფის კურორტების სამკურნალო მინერალური წყლები

№	წყაროები	მინერალი-ზა-ცია, გ/ლ	გამოყენება	წყლის შემაღებელობა
1	ბორჯომი (თერმული)	5.0-7.5	სასმელად, აბაზანები	ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიანი, ბორიანი, კაუმჟავა-ბორიანი
2	წალვერი	3.0-5.0	სასმელად	ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატული, მაგნიუმიან-კალციუმიან-ნატრიუმიანი
3	ნეძვი	1.7-8.0	სასმელად	ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიან-კალციუმიანი
4	ტიმოთესუბანი	5.0-7.5	სასმელად	ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული, ნატრიუმიანი
5	მიტარბი	3.8-4.2	სასმელად	ნახშირმჟავა, კალციუმიან-ნატრიუმიანი
6	მაჭარწყალი	7.0	სასმელად	ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული, ნატრიუმიან-კალციუმიანი

7	ლიბანი	3.5-4.5	სასმელად	ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული, კალციუმიან-ნატრიუმიანი
8	ვარდევანი	3.2	სასმელად	ნახშირმჟავა-რკინიანი, ჰიდროკარბონატული
9	წინუბანი (თერმული)	3.2-10.9	სასმელად	ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული, კალციუმიან-ნატრიუმიან-მაგნიუმიანი

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბორჯომ-ბაკურიანის საკურორტო-რეკრეაციულ რაიონში, მინერალური წყლების უმრავლესობის მინერალიზაცია, სამუალოდ, 3-10 გ/ლ-მდეა, ამიტომ მათი უმეტესობა კარგ სასმელ წყლებად ითვლება. დიდი გამოყენება აქვს თერმულ წყლებსაც, რომელთა ბაზაზე გაშენებულია ბალნეოლოგიური კურორტები.

რეკომენდაციის სახით უნდა აღინიშნოს, რომ თუ მთლიანად მოხერხდება ბორჯომ-ბაკურიანის მინერალური და თერმული წყლების პოტენციალის გამოყენება და ათვისება, მაშინ შესაძლებელია სასმელი წყლის ჩამოსხმის მაღალი წარმადობის ტექნოლოგიური ხაზების დანერგვით და კარგად ორგანიზებული რეკლამის წყალობით, უფრო მეტად, გავიკვლიოთ გზა მსოფლიო ბაზარზე, რაც ქვეყნის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანია.

ცხრ.2-ში წარმოდგენილია ბორჯომ-ბაკურიანის ჯგუფის კურორტებსა და საკურორტო ადგილებზე სამკურნალოდ ნაჩვენები დაავადებები მათი პათოლოგიური სინდრომების და მდგომარეობების მკურნალობის ჩვენებებით.

ცხრ.2. ბორჯომ-ბაკურიანის რაიონის კურორტებზე დაავადებების მკურნალობის ჩვენებები

№	კურორტი*, საკურორტო ადგილი	შეტყობინება	პროფილი	სამკურნალოდ ნაჩვენები დაავადებები
1	ახალდაბა*	790	ბალნეო-კლიმატური	გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვის, შარდ-სასქესო, ძვალ-სახსართა, ნერვული და ენდოკრინული სისტემები, ნივთიერებათა ცვლის მოშლით გამოწვეული, გინეკოლოგიური
2	ბორჯომი*	800	ბალნეო-კლიმატური	გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვის, საჭმლის მომნელებელი, შარდ-სასქესო, ძვალ-სახსართა, ნერვული, ენდოკრინული სისტემები და ნივთიერებათა ცვლის მოშლა, გინეკოლოგიური, რაზიონაქტიური დასხივებით ან ქრონიკული ინტოქსიკაციით გამოწვეული
3	დაბა	806	კლიმატური	გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვის და ნერვული სისტემები
4	ჩითახევი*	870	კლიმატური	გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვის და ნერვული სისტემები

5	სადგერი	900	კლიმატო-ბალნეო	გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვის, შარდ-სასქესო, ძვალ-სახსართა და ნერვული სისტემები, ენდოკრინული სისტემა და ნივთიერებათა ცვლის მოშლა, გინეკოლოგიური
6	დვირი	950	კლიმატო-ბალნეო	გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვის, ძვალ-სახსართა და ნერვული სისტემები, ცისტიტი, შარდ-კენჭოვანი, გინეკოლოგიური, ენდოკრინული სისტემა და ნივთიერებათა ცვლის მოშლა
7	წალვერი*	1020	კლიმატო-ბალნეო	გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვის და საჭმლის მომნელებელი სისტემები, ანემია, შაქრიანი დიაბეტი, პოდაგრა, სხივური დაავადება, მონამვლები
8	წეძვი	1020	კლიმატო-ბალნეო	გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვის, საჭმლის მომნელებელი, შარდ-სასქესო, ძვალ-სახსართა და ნერვული სისტემები, გინეკოლოგიური, ანემია, ენდოკრინული სისტემა და ნივთიერებათა ცვლის მოშლა, სხივური დაავადება, მონამვლები
9	ტიმოთესუ-ბანი	1100	ბალნეო-კლიმატური	გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვის და საჭმლის მომნელებელი სისტემები, ანემია, შაქრიანი დიაბეტი, პოდაგრა, სხივური დაავადება, მონამვლები
10	ცემი*	1120	კლიმატური	გულ-სისხლძარღვთა და სუნთქვის სისტემები, ნევროზი, შაკიკი, ანემია
11	მზეთამზე	1200	კლიმატური	გულ-სისხლძარღვთა და სუნთქვის სისტემები, ნევროზი, შაკიკი, ანემია
12	ტბა*	1250	კლიმატური	გულ-სისხლძარღვთა და სუნთქვის სისტემები, ნევროზი, შაკიკი, ანემია
13	მიტარბი	1300/ 1480	ბალნეო-კლიმატური	გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვის და საჭმლის მომნელებელი სისტემები, ანემია, შაქრიანი დიაბეტი, პოდაგრა, სხივური დაავადება, მონამვლები
14	მაჭარწყალი	1350	კლიმატო-ბალნეო	გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვის და საჭმლის მომნელებელი სისტემები, ანემია, შაქრიანი დიაბეტი, პოდაგრა, სხივური დაავადება, მონამვლები
15	ლიბანი*	1370	კლიმატო-ბალნეო	გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვის და ნერვული სისტემები, ანემია
16	ჰატარა ცე-მი*	1370	კლიმატური	გულ-სისხლძარღვთა და სუნთქვის სისტემები, ნევროზი, შაკიკი, ანემია
17	ვარდევანი	1450	კლიმატო-ბალნეო	გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვის და საჭმლის მომნელებელი სისტემები, ანემია, შაქრიანი დიაბეტი, პოდაგრა, სხივური დაავადება, მონამვლები

18	წინუბანი	1520	ბალნეო-კლიმატური	გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვის, საჭმლის მომნელებელი, შარდ-სასქესო, ძვალ-სახსართა და ნერვული სისტემები, ენდოკრინული სისტემა და ნივთიერებათა ცვლის მოშლა, გინეკოლოგიური, ანემია, რადიოაქტივური დასხივება ან ქრონიკული ინტრექსიკაცია
19	ბაკურიანი*	1700	კლიმატური	გულ-სისხლძარღვთა და სუნთქვის სისტემები, ანემია
20	ციხისჯვარი*	1800	კლიმატობალნეო	გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვის, შარდ-სასქესო, ძვალ-სახსართა და ნერვული სისტემები, ენდოკრინული სისტემა და ნივთიერებათა ცვლის მოშლა, ანემია, გინეკოლოგიური

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბორჯომ-ბაკურიანის საკურორტო-რეკრეაციული რაიონის კურორტებისა და საკურორტო ადგილების კლიმატით და მინერალური წყლებით მკურნალობა, ძირითადად, ნაჩვენებია შემდეგი დაავადებებისთვის: **დაბალი მთის საკურორტო** ზონის კურორტები – გულ-სისხლძარღვთა სისტემით, სასუნთქი ორგანოებით, საჭმლის მომნელებელი, ნერვული და ენდოკრინული, ასევე ძვალ-სახსართა სისტემებით დაავადებულთა სამკურნალოდ; **საშუალო მთის ქვედა სარტყელის** კურორტები ნაჩვენებია გულ-სისხლძარღვთა, ნერვული და სუნთქვის სისტემების, ასევე სისხლის დაავადებათა და ენდოკრინული, უროლოგიური, გინეკოლოგიური და ძვალ-სახსართა სისტემის დაავადებებათა სამკურნალოდ. **საშუალო მთის ზედა სარტყელის** კურორტები, კი, ძირითადად, გამოიყენება, გულ-სისხლძარღვთა და სუნთქის ორგანოებით დაავადებული ავადმყოფებისთვის.

სამწუხაროდ, რაიონული ცენტრიდან დაშორებულ მაღალმთიან სოფლებში საკურორტო ინფრასტრუქტურა დასახვენია საერთაშორისო დონეზე.

ბორჯომ-ბაკურიანის რეკრეაციული ზონის საკურორტო ადგილების კურორტებად ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს, მთლიანად რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამისათვის საჭიროა სწორად ორგანიზებული მუშაობა როგორც დაგეგმვაში, ასევე პრაქტიკაში ეკოლოგიური ნორმების სრული დაცვით. ეს ხელს შეუწყობს სამთო ტურიზმის განვითარებას ქვეყნის მასშტაბით. აუცილებელია შეიქმნას და განვითარდეს საკურორტო ინფრასტრუქტურა, მოხდეს კომუნიკაციების, გზების მიყვანა, დაიდოს განაშენიანების გეგმა და სხვ. მიზანშენონილი იქნებოდა პარკების მოწყობა ან მოდერნიზება. ყველა კურორტი გათვლილი უნდა იყოს ოჯახური ტიპის დამსვენებლებზე, უნდა მოხდეს საოჯახო ტიპის სასტუმროების განვითარება, რომელიც დაბალბიუჯეტიან მომხმარებელზეც იქნება გათვლილი.

სამთო-სათხულამურო კურორტების განვითარების მიმართულებით რეგიონში სამთო ტურიზმის განვითარება და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნაა აუცილებელი, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს, ასევე, უცხოელი ტურისტების მოზიდვას ჩვენს ქვეყანაში.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ მინერალური წყლის რესურსები ჩვენი ნამდვილი საგანძურია. მისი სწორად მოპოვება და გამოიყენება ხელს შეუწყობს არა მარტო ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, არამედ სოფლად სეზონური სამუშაო ადგილების გაჩენას, და, საერთოდ, მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

ლიტერატურა:

1. ელიზბარაშვილი ე., საქართველოს კლიმატური რესურსები, თბ., 2007.
2. კაიშაური მ., მესხეთ-ჯავახეთის საკურორტო რესურსები, ჰმი შრომები, ტ.117, თბ., 201.
3. საკაშვილი ნ., თარხან-მოურავი, ი. ტაბიძე მ., ქუთათელაძე ნ., საქართველოს კურორტოგრაფია და საკურორტო თერაპია, თბ., 2011.
4. საქართველოს კურორტები და საკურორტო რესურსები, ატლასი, მოსკოვი, 1989.
5. შავიშვილი ნ., თრიალეთის მთიანი მასივის კლიმატურ-რეკრეაციული რესურსები, და ტურისტული პოტენციალის შეფასება, თბ., 2009.

MANANA KAISHAURI, NINO SHAVISHVILI

BORJOMI-BAKURIANI GROUP RESORTS AND THEIR DEVELOPMENT PROSPECTS

SUMMARY

This paper consideres climatic and medical features of BORJOMI-BAKURIANI resorts. It describes several sources of mineral water and their classification based on healing properties.

The paper estimates resort and recreational resources of Borjomi and their modern potential. It gives some recommendations for their effective usage and development prospects of the resort-recreational region of Borjomi-Bakuriani.



**თამარ ბუკია-ვერულაშვილი,
/სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი/**

საპრუიზო ტურიზმი

წყლის ტრანსპორტით ხალხის გადაყვნა უძველესი დროიდან არის ცნობილი. ყველაზე მეტად წყლის ტრანსპორტით მოგზაურობა განვითარდა შუა საუკუნეებში. საზღვაო მოგზაურობათა ფუძემდებლად ითვლებიან ირლანდიელი ბერები. VI ს-ის ცნობილ მეზღვაურად ითვლება წმ. ბრენდანი, – ირლანდიის მფარველი. მის მოგზაურობებზე თქმულებები და ლეგენდებია შექმნილი. წმ. ბრენდანმა ერთ-ერთმა პირველმა გაუკვალა გზა ევროპელებს დასავლეთისკენ, ოკეანის გადაღმა სამოგზაუროდ.

საზღვაო მოგზაურობათა განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულეს სკანდინავიისა და იუტლანდიის ნახევარკუნძულების მცხოვრებლებმა. საფრანგეთში მათ ნორმანებს (ანუ ჩრდილოელებს) უწოდებდნენ. ნორმანებს ჰქონდათ სამდინარო—საზღვაო ტიპის შესანიშნავი ხომალდები, მაგრამ მათი მაქსიმალური ზომა არ აღემატებოდა სიგრძეში 30 მ-ს და სიგანეში – 4 მ-ს.

საწყლოსნო გადაზიდვების შემდგომი განვითარება უკვე საზღვაო მოგზაურობებთანაა დაკავშირებული.

უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენები, ახალი სავაჭრო საზღვაო გზები, – სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობა მსოფლიო რუკაზე მსხვილი საზღვაო სახელმწიფოების, – ესპანეთის, პორტუგალიის, პოლანდიის გამოჩენა, რომლის სიძლიერეც სწორედ საწყლოსნო ტრანსპორტის სიძლიერესთან არის დაკავშირებული. ამერიკელი გამომგონებლის, რობერტ ფულტონის მიერ 1807 წელს თბომავლის გამოგონებამ უზარმაზარი ბიძგი მისცა საწყლოსნო ტრანსპორტის შემდგომ განვითარებას.

თანამედროვე საწყლოსნო ტრანსპორტი, მომსახურების სფეროს მიხედვით, იყოფა **საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტად**.

საზღვაო ტრანსპორტი ასრულებს საერთაშორისო, შორეულ და კაბოტაჟურ გადაზიდვებს.

- **საერთაშორისო გადაზიდვების ქვეშ** იგულისხმება მგზავრთა გადაყვანა და ტვირთის გადატანა საზღვრებს გარეთ ან პირიქით, საზღვარგარეთიდან – მოცემული ქვეყნისკენ;
- **შორეული გადაზიდვები** ხორციელდება ქვეყნის შიგნით, მაგრამ გემები გადიან ღია ზღვაში;
- **კაბოტაჟური გადაზიდვები** ხორციელდება ქვეყნის შიგნით, გემები დადიან პორტებს შორის, ისე, რომ ღია ზღვაში არ გადიან.

სამდინარო ფლოტის ხომალდები ახორციელებენ მგზავრებისა და ტვირთის გადაზიდვებს შიდა საწყლოსნო გზებით, რომელთაც მიეკუთვნება მდინარეები, ტბები, წყალსაცავები და არხები.

1. საზღვაო კრუიზები

საზღვაო კრუიზი – ეს არის მოგზაურობა დახშულ წრეზე, პორტებიდან ქვეყნის შიგნით რადიალურ გადაადგილებასთან ერთად.

მსოფლიოში არსებობს 150-ზე მეტი მსხვილი საზღვაო—საკრუიზო კომპანია, მ. შ. ბერძნული, იტალიური, ესპანური, ამერიკული, დანიური, ნორვეგიული. საზღვაო კრუიზების სფეროში ცნობილი კომპანიებია **“Carnival Cruise Lines”, “Celebrate Cruises”, “Royal Caribbean International”, “Princess Cruises”, “Costa Cruises”, “Norwegian Cruise Lines”**.

ყოველწლიურად მატულობს საკრუიზო კომპანიათა რიცხვი, ვინაიდან მატულობს კრუიზით დაინტერესებულ ტურისტთა რაოდენობა. 1980 წელს საზღვაო კრუიზით იმოგზაურა 1,5 მლნ ტურისტმა, 2006 წელს ამ რაოდენობამ 12 მლნ-ს გადააჭარბა, არაზუსტი მონაცემებით კი, 2015 წელს – 25 მლნ-ს მიაღწია.

1985 წელს საკრუიზო ხომალდების რაოდენობა მსოფლიოში იყო 120, 2006 წელს კი – 387. მას შემდეგ საკრუიზო ხომალდების რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს 7-12 ერთეულით და 2016 წლისთვის თითქმის 500-ს მიაღწია.

სულ უფრო და უფრო უმჯობესდება საზღვაო კრუიზების დროს ხომალდებზე მომსახურების ხარისხი.

სასტუმროთა მსგავსად, საკრუიზო ხომალდების შეფასება ხდება მთელი რიგი კრიტერიუმების მიხედვით, რის შემდეგაც მათ ენიჭებათ ვარსკვლავების გარკვეული რაოდენობა. ამ კრიტერიუმებს მიეკუთვნება: ხომალდი და მისი აღჭურვილობა, კაიუტების მდგომარეობა, კვება, მომსახურება, გასართობი ღონისძიებები, დამატებითი მომსახურების ასორტიმენტი და ხარისხი.

საზღვაო-საკრუიზო ხომალდები მომსახურების ხარისხისა და კომფორტის დონის მიხედვით კლასიფიცირდება შემდეგნაირად:

- სტანდარტული (2* – 4*);
- პრემიუმი (5* – 5*+);
- ლუქსი (6*).

მიღებულია ხომალდების კლასიფიკაცია ტონაჟის მიხედვით (ხომალდის შიდა მოცულობა, გროს-ტონებში. 1 გროს-ტონა = 100 კუბურ ფუტს):

- მსხვილი (60.000-ზე მეტი გროს-ტონა);
- საშუალო (25.000-დან 60.000-მდე გროს-ტონა);
- მცირე (25.000-მდე გროს-ტონა).

უკანასკნელ წლებში გაჩნდა მსხვილი საკრუიზო ხომალდების აგების ტენდენცია. კრუიზის ხომალდებს ხშირად „ზღვის ქალაქებსაც“ უწოდებენ, რაც რეალობისგან არცთუ ისე შორსაა. დღევანდელი საკრუიზო გემების მასშტაბების გასააზრებლად მათი „ტიტანიკთან“ შედარებაც საკმარისია. ეს უკანასკნელი ჩვენს დროში რომ აეგოთ, ის აღბათ 50 ყველაზე დიდ საკრუიზო გემს შორისაც ვერ მოხვდებოდა.

მსოფლიოში ყველაზე მსხვილ საკრუიზო ხომალდად ითვლება “Harmony of the Seas”. ლაინერი ექსპლუატაციაში შევა 2016 წელს. მიეკუთვნება Oasis ხომალდთა სისტემას. მისი სიგრძე 362 მეტრია, წყალწვერი – 227700 ტონა. ხომალდზე 2744 კაიუტაა, რომელშიც ეტევა 6360 მგზავრი. ხომალდის მომსახურე პერსონალის რაოდენობა 2100 ადამიანია. **სიდიდით მეორე ადგილზეა „Oasis of the Seas“.** აიგო და ექსპლუატაციაში შევიდა 2009 წელს. მიეკუთვნება Oasis ხომალდთა სისტემას. მისი სიგრძე 361 მეტრია, წყალწვერი – 225282 ტონა. ხომალდზე 2742 კაიუტაა, რომელშიც ეტევა 6307 მგზავრი. ხომალდის მომსახურე პერსონალის რაოდენობა 2150 ადამიანია. სიდიდით მესამე ადგილზეა „Allure of the Seas“. აიგო და ექსპლუატაციაში შევიდა 2010 წელს. მიეკუთვნება Oasis ხომალდთა სისტემას. მისი სიგრძე 360 მეტრია, წყალწვერი – 225282 ტონა. ხომალდზე 2702 კაიუტაა, რომელშიც ეტევა 6215 მგზავრი. ხომალდის მომსახურე პერსონალის რაოდენობა 2150 ადამიანია. სიდიდით მეოთხე ადგილზეა „Anthem of the Seas“. აიგო და ექსპლუატაციაში შევიდა 2015 წელს. მიეკუთვნება Quantum ხომალდთა სისტემას. მისი სიგრძე 348 მეტრია, წყალწვერი – 167800 ტონა. ხომალდზე 2095 კაიუტაა, რომელშიც ეტევა 4819 მგზავრი. ხომალდის მომსახურე პერსონალის რაოდენობა 1300 ადამიანია.

სულ რაღაც 10 წლის წინ მსოფლიოში უდიდეს საკრუიზო ხომალდად ითვლებოდა 17-გემბანიანი "Voyager of the Sea", რომელიც მიეკუთვნება კომპანია "Royal Caribbean"-ს. მისი წყალწილი შეადგენს 142.000 ტონას, მასზე ეტევა 2200 მგზავრი და ეკიპაჟის 1180 წევრი. ხომალდის სიგრძე 311 მ-ია. ამ ლაინერის თავისებურებაა ის, რომ აქ პირველად აიგო ყინულის არენა და გაკეთდა მინის ჭერით გადახურული ქუჩა-პრომენადი (პრომენადი – ქუჩა ხომალდზე, განკუთვნილი ფეხით მოსიარულეთათვის, რესტორნებით, კაფეებით, მაღაზიებით. პრომენადის კაიუტები განლაგებულია მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 გემბანებზე. არის აგრეთვე სპეციალური კაიუტები, გამიზნული ალერგიული ან მოძრაობაშეზღუდული ტურისტებისთვის.

2003 წლის იანვარში საუტკემპტონში წყალში ჩაუშვეს ახალი უმსხვილესი საოკეანო ლაინერი "Queen Mary-2". მისი წყალწილი შეადგენს 150 000 ტონას, სიმაღლე კი ვატერლინიის²² ზე-ვით – 70 მ-ს. ლაინერმა ბორტზე ერთდროულად მიიღო 2620 ტურისტი.

საკრუიზო მარშრუტები ხანგრძლივობის მიხედვით კლასიფიცირდება შემდეგნაირად:

- ხანმოკლე (რამდენიმე საათიდან რამდენიმე დღე-ლამებედე);
- საშუალო ხანგრძლივობის (5-13 დღე-ლამე);
- ხანგრძლივი (14 დღე-ლამიდან 2 თვემდე).

საზღვაო საკრუიზო ხომალდებზე კაიუტები განსხვავდება ფართობის, ინტერიერის, მომსახურების სახეობებისა და ხარისხის მიხედვით, რაც, თავისთავად ცხადია, აისახება მათ ფასზეც. ზოგადი კლასიფიკირების მიხედვით კაიუტები შეიძლება იყოს:

- ეკონომიური (კაიუტები ხელოვნური განათებით);
- სტანდარტული (ფანჯრებით);
- პრემიუმი (აივნებით).

საკრუიზო კომპანია Royal Caribbean გვთავაზობს კაიუტების საკუთარ კლასიფიკაციას:

1. ლუქსის კლასის კაიუტები ხედით ოკეანეზე:

- **R – სამეფო აპარტამენტები:** ცალკე საძინებელი ორადგილიანი საწოლით, ინდივიდუალური ვერანდა, შხაპი, ჩვეულებრივ კეთილმოწყობილი, სასტუმრო ოთახი დივანით, როიალი, მაცივარი, მინი-ბარი, სასადილო ოთახი;
- **A – „ოუნერს სუიტ“:** დიდი ზომის საწოლი, ინდივიდუალური ვერანდა, შხაპი, სასტუმრო ოთახი დივანით, მაცივარი, მინი-ბარი;
- **AA – „როიალ ფემილი სუიტ“:** ორი საძინებელი საწოლებით, სასტუმრო ოთახი დივანით, ინდივიდუალური ვერანდა, მაცივარი, ორი სააბაზანო ოთახი;
- **B – „გრანდ-სუიტ“:** ორი საწოლი, ინდივიდუალური ვერანდა, დივანი, სავარძლები, მაცივარი;
- **C – „სუპერიორ სუიტ“:** ორი საწოლი, ინდივიდუალური ვერანდა, დივანი, სავარძლები, მაცივარი;
- **D – კაიუტა „დელუქსი“:** ორი საწოლი, ინდივიდუალური ვერანდა, დივანი, სავარძლები, მაცივარი.

2. საოჯახო კაიუტები ხედით ოკეანეზე:

- **FF – დიდი ზომის კაიუტები, გათვლილი 6 ადამიანის განთავსებაზე;**

3. კაიუტები ხედით ოკეანეზე:

²² ვატერლინია (ნიდერლ. waterlinie) — მცურავი ხომალდის კორპუსთან წყლის მშვიდი ზედაპირის შეხების ხაზი.

- **F, H, I** – კომფორტული კაიუტები ორი საწოლით, ჩვეულებრივ კეთილმოწყობილი, ტუ-ალეტით, ტელევიზორით, ტელეფონით;

4. შიდა კაიუტები:

- **K, L, M, N, O, P, Q** – კომფორტული კაიუტები ორი საწოლით, ჩვეულებრივ კეთილ-მოწყობილი, ტუალეტით, ტელევიზორით, ტელეფონით.

საკრუიზო ტურებისთვის ერთ-ერთ აუცილებელ მახასიათებელს წარმოადგენს გართობა გემბანზე. საკრუიზო ხომალდებზე მუშაობენ სხვადასხვა კლუბები, მ.შ. სათამაშო კლუბები და კაზინოები, მოწვეული მსახიობები მართავენ კონცერტებს, იმართება სხვადასხვა სახის შოუები. როგორც წესი, საკრუიზო ტური ორგანიზებულია პრინციპით „ყველაფერი გადახდილია“. ეს ვრცელდება კვებაზე, სპორტული დარბაზით და ინვენტარით სარგებლობაზე, გასართობ პროგრამაზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ საკრუიზო ხომალდით მოგზაურობის დროს საჭირო არ არის ვიზების ქონა: მგზავრებს შეუძლიათ ყოფნა პორტებში და მონაწილეობის მიღება ექსკურსიებში ვიზის გარეშე 48–72 სთ-ს განმავლობაში.

კრუიზების ყველაზე დიდი ნაკლია მათი უსაშველოდ მაღალი ფასი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ულკანასკნელ პერიოდში გაჩნდა საბიუჯეტო საკრუიზო კომპანიები.

საკრუიზო მარშრუტები ფასების მიხედვით კლასიფიცირდება შემდეგნაირად (დღე-ღამეში თითო სულზე):

- ეკონომიური (75-150 \$);
- კლასიკური (100-200 \$);
- პრემიუმი (150–400 \$);
- ლუქსი (700-1000 \$);
- ექსკლუზიური (1000 \$-ზე მეტი).

საზღვაო კრუიზების მოსაწყობად ძირითადი რაიონებია კარიბის ზღვის აუზი და ხმელთაშუა ზღვა.

კარიბის ზღვის უპირატესობაა ის, რომ კრუიზების ჩატარება შესაძლებელია მთელი წლის განმავლობაში. საკრუიზო მარშრუტები გრძელდება 3–14 დღე-ღამე და კლასიფიციდება შემდეგნაირად: დასავლეთკარიბები, აღმოსავლეთ კარიბები და სამხრეთ კარიბები.

ხმელთაშუა ზღვაში ტარდება კლასიკური საზღვაო კრუიზები. საკრუიზო მარშრუტი მოიცავს ერთპარად რამდენიმე ევროპულ და ჩრდილო-აფრიკულ ქვეყანას, – ესპანეთს, საფრანგეთს, იტალიას, საბერძნეთს, მაროკოს, ტუნისსა და ეგვიპტეს.

საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობენ კრუიზები ბრიტანეთის, სკანდინავიისა და რუსეთის სანაპიროების გასწვრივ.

ზოგიერთი საკრუიზო კომპანია ახორციელებს მოგზაურობას დედამიწის გარშემო, რომლის ხანგრძლივობაც 120-140 დღე-ღამეა.

უკანასკნელ წლებში გახშირდა მოგზაურობა ანტარქტიდისა და ჩრდილოეთ პოლუსის მიმართულებით. „ყინულოვანი“ კრუიზები ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში: ზაფხულში მიემართებიან არქტიკისკენ, ხოლო ზამთარში – ანტარქტიდისკენ.

ამერიკული კომპანია **“Quark Expedition”** ორგანიზებას უკეთებს კრუიზებს რუსეთის ყინულმჭრელზე „კაპიტანი ხლებნიკოვი“ მარშრუტით შპიცბერგენი – გრელანდია – კანადა – ჩუკოტკა – შპიცბერგენი. ასეთი „ყინულოვანი“ კრუიზების ფასი საკმაოდ მარალია, – 10.000–დან 18.000 დოლარამდე, თუმცა ასეთ ტურისტთა რაოდენობა წელიწადში სტაბილურად იზრდება 2 %-ით, ძირითადად რუსი ტურისტების ხარჯზე.

ბოლო პერიოდში, როგორც საზღვაო კრუიზების სახესხვაობა, დიდი პოპულარობით სარგებლობს კრუიზი ბორანით, ძირითადად მისი ხანმოკლეობისა და ეკონომიურობის გამო. კრუ-

იზისთვის განკუთვნილი თანამედროვე ბორანი წარმოადგენს მრავალგემბანიან გემს. დიდი მოთხოვნით სარგებლობენ ისეთი კომპანიების კუთვნილი გემი—ბორნები, როგორიცაა „**Viking Line**”, „**Silja Line**”, „**DFDS Seaways**”, „**Fjord Line**”, „**Smyril Line**”, „**Color Line**”, „**Superfast series**“. ბალტის ზღვაზე კრუიზებს ახორციელებენ კომპანიები „**Silja Line**” და „**Viking Line**“. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს:

1. გამგზავრების პორტის – ჰელსინკის კარგი გეოგრაფიული მდებარეობა;
2. კრუიზის „კომპაქტურობა“, – სტოკოლმში გასასეირნებლად საჭიროა სულ ორი ღამე და ერთი დღე. ამისთვის კი საკმარისია **week-end**. ამასთან, კრუიზი შეიძლება გაიწელოს დროში სტოკოლმსა და ჰელსინკში ზედმეტი დროით შეჩერების გამო;
3. ბორანზე შესაძლებელია საკორპორაციო ღონისძიებათა მოწყობა;
4. ბორანზე ტურისტებს სთავაზობენ უამრავ გასართობს: უბაჟო ვაჭრობის მაღაზიებს, დისკოთეკებს, რესტორნებს პრინციპით „უკვე გადახდილია“, აუზებსა და საუნას;
5. ორი დღის განმავლობაში ტურისტი მოინახულებს ორ ქვეყანას: ფინეთსა და შვედეთს.

უკანასკნელ წლებში პოპულარობა მოიხვეჭა საზღვაო მოგზაურობამ მცირე ზომის იახტებით. **არსებობს იახტების გაქირავების ორი ფორმა:**

- ეკიპაჟის გარეშე (ბერბოუთ-ჩარტერი);
- ეკიპაჟიანად (თაიმ-ჩარტერი).

2. სამდინარო კრუიზები

კრუიზებს ქვეყნის შიდა საწყლოსნო არტერიებზე (მდინარეებზე, ტბებზე, არხებზე) ეწოდება **სამდინარო კრუიზები**. სამდინარო კრუიზი ვითარდება იმ ქვეყნებში, სადაც ბევრია წყალუხვი მდინარეები. სამდინარო კრუიზები შეიძლება განხორციელდეს ერთი მიმართულებით ან ჰელიკოპტერის მარშრუტით.

სამდინარო კრუიზები, გადაზიდვის პირობების, ხანგრძლივობისა და სიგრძის, მომსახურების პირობების მიხედვით შეიძლება იყოს სატრანსპორტო, ტურისტული და საექსკურსიო-სასეირნო.

სატრანსპორტო მარტშრუტები უზრუნველყოფენ მგზავრთა გადაყვანას ერთი დასახლებელი პუნქტიდან მეორეში და მუშაობენ, როგორც წესი, წინასწარ ცნობილი გრაფიკის მიხედვით. სამდინარო ხომალდები, რომლებიც გამოიყენება სატრანსპორტო მარტრუტებისთვის, ახორციელებენ **სატრანზიტო** (400 კმ მეტი მანძილის შემთხვევაში), **ადგილობრივ** (400 კმ-მდე), **საგარეუბნო** და **შიდასაქალაქო** გადაყვანებს. სატრანსპორტო მარტრუტებს მიეკუთვნება საბორანო და მდინარის ან ტბის მეორე ნაპირზე გადამყვანი ხაზებიც.

ტურისტული გადაზიდვები ხორციელდება ტრადიციული და სპეციალური მარტრუტებით, რომელთა ხანგრძლივობა 24 სთ-ზე მეტია.

საექსკურსიო-სასეირნო მარტრუტებით ხორციელდება ექსკურსანტთა მომსახურება, რომელთა ხანგრძლივობა 24 სთ-ზე ნაკლებია. როგორც წესი, ეს არის **საგარეუბნო** და **შიდასაქალაქო** გადაყვანები.

სამდინარო საკრუიზო ტურიზმი ყველაზე მეტად განვითარებულია ევროპულ ქვეყნებში (საფრანგეთში, გერმანიაში, რუმინეთში, უნგრეთში, იტალიაში, რუსეთში). თითქმის ყველა სამდინარო ხომალდები მიეკუთვნება პრემიუმ-კლასს. თუმცა არის გამონაკლისებიც.

ჰოლანდიური საკრუიზო კომპანია „**Sea Cloud**“ ექსპლუატაციას უწევს „ლუქს“—კლასის ორ სამდინარო ხომალდს.

პოპულარობით სარგებლობს **სამდინარო კრუიზი** მდ. **ნილოსზე** (კაირო-ლუქსორი, 3-5 დღე), რომელიც კომბინირდება რეკრეაციულ ტურთან (დასვენება **ხურგადში** ან **შარმ-ელ-შეინში**). ამ კრუიზების დროს გამოიყენება 5*-იანი ან „ლუქს“-კლასის ხომალდები. მომსახურები ხორციელდება პრინციპით „ყველაფერი გადახდილია“, რომელიც შეეხება ხომალდზე განთავსებას, კვებას და საექსკურსიო პროგრამას.

რუსეთში, რომელიც ერთ-ერთ წამყვან ქვეყნად ითვლება სამდინარო კრუიზების განხორციელების მიხედვით, გამოიყენება სამდინარო ხომალდები, აგებული 1980-იან წლებში. მათ შორის ყველაზე მაღალი კომფორტულობით ხასიათდება თბომავლები 3-4 გემბანით და 1, 2, 3 და 4-ადგილიანი კეთილმოწყობილი კაიუტებით. ხომალდის გემბანზე ტურისტებს ემსახურება რესტორნები, კაფეები, ბარები, კინოდარბაზები, მაღაზიები.

რუსეთის ერთ-ერთი დიდი ტურისტული კომპანია **ვოლგის სამდინარო ხომალდებით** ახორციელებს კრუიზებს შემდეგი მარშრუტებით:

- **მოსკოვი – ნიჟნი ნოვგოროდი – მოსკოვი (10 დღე, შემდეგი ქალაქების მონახულებით: უგლიჩი, მიშკინი, კოსტრომა, პლესი, მურომი);**
- **მოსკოვი – პლესი – მოსკოვი (6 დღე, შემდეგი ქალაქების მონახულებით: უგლიჩი, მიშკინი, იაროსლავლი, კოსტრომა);**

რუსეთის მეორე დიდი ტურისტული კომპანია **მოსკოვის სამდინარო ხომალდებით** ახორციელებს კრუიზებს შემდეგი მარშრუტებით:

- **მოსკოვი – ასტრახანი – მოსკოვი (20 დღე);**
- **მოსკოვი – სანკტ-პეტერბურგი – მოსკოვი (13 დღე);**
- **მოსკოვი – იაროსლავლი – მოსკოვი (5 დღე);**
- **მოსკოვი – უგლიჩი – მოსკოვი (3 დღე).**

რუსეთში აგრეთვე პოპულარულია სამდინარო კრუიზები ისეთ დიდ მდინარეებზე, როგორიცაა ობი, ირტიში, ლენა, ენისეი, ამური. მათი საშუალო ხანგრძლივობა 18 დღე-დამეა. როგორც წესი, ისინი კომბინირებულნი არიან მიწისზედა და საპაერო მარშრუტებთან.

მაგალითად, **კრუიზი მდ. ენისეიზე** კომბინირებულია გადაფრენასთან ჩრდილოეთ პოლუსის მიმართულებით. მდ.ლენაზე კრუიზის დროს ტურისტები ეცნობიან ცხოვრების წესს იაკუტიის სოფლებში და საშუალება აქვთ ინადირონ გამოცდილ იაკუტელ მონადირეებთან ერთად.

ლიტერატურა:

1. Бабкин А.И. Специальные виды туризма. Учебное пособие. Ростов-на-Дону, 2008.
2. История туризма в России. 2015 – 2016.

TAMAR BUKIA-VERULASHVILI

CRUISE TOURISM

SUMMARY

Transition of people by water transportation has been known since ancient times. Most of the water transportation has been developed in the Medieval Ages. Modern water transport, according to the service area, is divided into marine and river transport.

Maritime Transport carries out international, distant and coastal navigation transportation. The ships of the navy fleet carry passengers and cargo through internal waterways, which include rivers, lakes, reservoirs and channels.

Marine Cruise – This is a trip to the closed circle, from the ports inside the country together with radial movement.

Inland waterway cruises are called **river cruises** and are developed in the countries where there are many waterfowl rivers. The river cruises can be made in one direction or have a circular route. River cruise tourism is most developed in European countries: **France, Germany, Romania, Hungary, Italy and Russia.**



უურნალში გამოქვეყნებულ მასალაზე პასუხისმგებელია ავტორი.

კომპიუტერული უზრუნველყოფა
Computer Provider

ნანა კანდაშვილი
Nana Kandashvili

სასწავლო უნივერსიტეტი რვალი

Teaching University Rvali

მისამართი: საქართველო, რუსთავი, 3700, ბოსტანკალაქის ქ. №3.
A d d r e s s: 3, Bostankalaki str., 3700, Rustavi, Georgia.

www.rvali.edu.ge
rvaliuni@gmail.com

ტელ.: +995 0 341 24 18 98;
ვაშტ.: +995 0 341 24 18 98



გამომცემლობა „უნივერსალი”

თბილისი, 0179, გ. კავკავაძის გამზ. 1, თე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge